ეს

ის

ლესბი

გეი

ბი

ტრანს

N3/2006

ლიტერატურული ჟურნალი

ეე

ᲙᲕᲚᲔᲕᲐ

12 მითები ჰომოსექსუალობის შესახებ

ეკა ალდგომელაშვილი

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

2 საქართველო

* პირველი საერთაშორისო ლგბტ შეხვედრა საქართველოში
* ფონდის მოღვაწეობით ფართო საზოგადოებრიობა დაინტერესდა
* 2006 წელს ფონდის მოღვაწეობა წარმატებულად შეფასდა
* საერთაშორისო მიმართულება

უსწრებთი

* ILGA-Europe - 10 წლის გახდა, საქართველო კი ევროპის ლგბტ რუკაზე დაიტანეს.
* გაერო: სექსუალური უმცირესობების უფლებები – ადამიანის უფლებები?
* ევროპა = თანასწორობას

3

ᲐᲜᲒᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ

6 აივ-შიდსი

RESUME

20

ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ

10 ზეიმი ოჯახის წიაღში

11 თეოჰიიდან ჰიპატიამდე

8 ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

თანასწორობა ქართველად და ევროპელად

ინტერვიუ ევროპარლამენტის ლებოსელი და გეი დეპუტაციის ვიცე-პრეზიდენტთან, ქ-ნ სოფი ინტ ველდთან

ჟურნალის ელექტრონული ვერსია განთავსდება ფონდ "ინკლუზივის" ვებ-გვერდზე
www.inclusive-foundation.org
ან www.gay.ge

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენების შემთხვევაში აუცილებელია წყაროს მითითება.

ჟურნალი ვრცელდება უფასოდ

გამოცემა დაფინანსებულია ჰოლანდიის ეროვნული ლგბტ ასოციაციის COC Netherlands-ის მიერ

ILGA-EUROPE/COC მიეს ბანხოსიეებული მისიის საფუძველზე მომზადებული ანბაიიშების ჰეზიშე

4

ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘ

ᲛᲔ

ᲗᲔᲛᲐ

14 ფილმები, სადაც უყვართ და იბრძვიან იმისთვის, რომ უყვარდეთ

თეო ბატიაშვილი

ჩემთვის დახოსილი ხარები 16

ზაზა მელიქიშვილი

1 დეკემბერი შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა. გარკვეულ მიზეზთა გამო, რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, ეპიდემიის გავრცელების საწყის ეტაპზე, ბევრ ქვეყანაში, შიდსი უშუალოდ ასოცირდებოდა ჰომოსექსუალობასთან. ამგვარ წარმოდგენას აივ-შიდსის წარმოშობისა და გავრცელების გზების შესახებ ჰომოფობიის ახალი ტალღა მოჰყვა. სწორედ ამიტომ, ჩვენი ჟურნალის მესამე ნომრის მთავარ თემად აივ-შიდსი და მასთან დაკავშირებული პრობლემები ავირჩიეთ.

დასავლეთის რამდენიმე ქვეყანაში შიდსით დაავადების პირველი რეგისტრირებული შემთხვევები გეი საზოგადოებაში დაფიქსირდა. დაავადების შესწავლის პირველ ეტაპზე ექიმები მას „ჰომოსექსუალობასთან დაკავშირებულ იმუნოდეფიციტს“ უწოდებდნენ. პრესამ ახალი დაავადება „ცისფერთა კიბოდ“ მონათლა. ბევრ ქვეყანაში ჰომოსექსუალები განტევების ვაცად იქცნენ, რადგან სწორედ მათ აბრალებდნენ შიდსის ეპიდემიის გავრცელებას. თუმცა, არც ისე დიდი ხანი დასჭირდა იმის გამოაშკარავებას, რომ ვირუსი ისევე არ უკავშირდებოდა სექსუალურ ორიენტაციას, როგორც რასას, ნაციონალობასა თუ რელიგიურ აღმსარებლობას. რისკის ფაქტორს ადამიანის ქცევა განსაზღვრავს, რისკის ჯგუფად კი მთელი კაცობრიობა შეიძლება ჩაითვალოს.

ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც, ეპიდემიის საწყის ფაზაზე, აივ-ი დაუცველი ჰომო და ჰეტეროსექსუალური კავშირების გზით გავრცელდა, რამაც ხელი შეუწყო დაავადებულთა სტიგმატიზებასა და დისკრიმინაციას. მოსახლეობის უმეტესობის აზრით, შიდსი მხოლოდ ჰომოსექსუალთა და კომერციული სექსით დაკავებული ადამიანების პრობლემა იყო. თუმცა, 1996-97 წლებში ინექციური ნარკოტიკების მომხმარებელთა ზრდამ იგი აივ-ის გადაცემის ძირითად წყაროდ აქცია. მიუხედავად ამ მონაცემებისა, „კომერციული სექსმუშაკებისა და ჰომოსექსუალი მამაკაცების აივ/შიდსთან დაკავშირებული სტიგმა და დისკრიმინაცია ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლებთან შედარებით კვლავ უფრო მაღალია“(1) პრობლემისაგან თავდაცვის ამგვარი ფორმა – დაავადების დაკავშირება ცალკეულ ჯგუფებთან და მათი სტიგმატიზაცია, მხოლოდ ხელს უწყობს დაავადების გავრცელებას.

ინსტიტუციონალიზებული ჰომოფობიის გარდა, რომელიც ხელს უწყობს მითის წარმოქმნას ჰომოსექსუალობისა და აივ-შიდსის ეპიდემიის ურთიერთკავშირის შესახებ, არანაკლებ მნიშვნელოვანია ინტერნალიზებული ჰომოფობიაც. ის, პირდაპირ თუ ირიბად, ნეგატიურ გავლენას ახდენს ადამიანთა ცხოვრების ხარისხზე და აქვეითებს თვითშეფასებას. არაერთი გამოკვლევით დადასტურდა, რომ ინტერნალიზებული ჰომოფობია პირდაპირი კავშირშია რისკ-ქცევასთან. ლგბტ ჯგუფის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც ძლიერ ზეწოლას განიცდიან, უფრო ხშირად აქვთ დაუცველი სექსი და სტრესიდან გამოსვლის მიზნით ხშირად მოიხმარენ ნარკოტიკებს. და პირიქით – ადექვატური თვითშეფასების მქონენი ზრუნავენ საკუთარ და პარტნიორის ჯანმრთელობაზე და უპირატესობას უსაფრთხო სექსის პრაქტიკას ანიჭებენ. ამიტომაც, აივ-შიდსთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებები და ფართო საგანმანათლებლო კამპანია, დაავადებასთან დაკავშირებლი სტერეოტიპებისა და ცრურწმენების რღვევასთან ერთად, საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიის დაძლევასაც გულისხმობს.

ეპიდემიის გავრცელების საწყის ეტაპზე, საყოველთაო ისტერიის ფონზე, სწორედ გეებმა შექმნეს შიდსთან ბრძოლის ერთ-ერთი პირველი ორგანიზაცია: „ჩვენ მივეცით მსოფლიოს იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა ვიზრუნოთ ერთმანეთზე კრიზისულ სიტუაციაში, მაშინაც კი, როცა თავისდა სამარცხვინოდ, მთავრობა ვერ ასრულებს თავის მოვალეობებს და ცრუ-მორალისტები შეტევაზე გადმოდიან. ჩვენ შევძელით გონის შენარჩუნება და გვახსოვს, რომ არც სექსი და არც ჰომოსექსუალობა ბოროტება არაა. ჩვენ ვაჩვენეთ, რომ თურმე გვქონია უნარი, არ ავყოლოდით ეგოისტურ შიშს და არ გავქცეოდით იმ ადამიანებს, ვისაც ჩვენი დახმარება სჭირდება“. (2) დღესდღეობით მასშტაბური პრევენციული ღონისძიებების გატარება სახელმწიფო და საერთაშორისო პროგრამების ნაწილად იქცა. თუმცა, ეს არათუ ამცირებს ლგბტ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების როლს, არამედ ზრდის მათი მოქმედების სფეროსა და პასუხისმგებლობას.

(1) აივ-ინფექცია და შიდსი საქართველოში: სოციალურ-კულტურული მიდგომა. UNESCO. 2005

(2) Clark, D. The New Loving Someone Gay. Berkeley, CA: Celestrial Arts, 1987.

საქართველო



პირველი საერთაშორისო ღებტ შეხვედრა საქართველოში

ოქტომბერში ფონდმა უმასპინძლა ლგბტ ჯგუფში აივ/შიდსის პრევენციის თემაზე გამართულ ტრენინგ-სემინარს. ტრენინგი ჩატარდა ჰოლანდიური ირგანიზაციების COC Netherlands და Schorer –ის, აგრეთვე მოლდოვური ორგანიზაციის Gender Doc M ექსპერტთა მიერ. ტრენინგში მონაწილეობას იღებდნენ ფონდი ინკლუზივის პარტნიორი ლგბტ ორგანიზაციები, მოლდოვადან, უკრაინიდან, სომხეთიდან, ყირგიზეთიდან და საქართველოდან. ტრენინგის დაწყებამდე, სტუმრები შეხვდნენ ლგბტ ჯგუფის ადგილობრივ წარმომადგენლებს და ერთად დაესწრნენ კინოჩვენებას. ტრენინგის დასასრულს გაიმართა ჟურნალ "მეს" მეორე ნომრის პრეზენტაცია, რომელსაც მონაწილეებთან ერთად დაესწრო ჰოლანდიის ელჩი საქართველოში. ვრცელი ინფორმაცია ტრენინგის შესახებ იხილეთ რუბრიკა რეპორტაჟში.

ფონდის მოღვაწეობით ფაქთო საზოგადოებრიობა დაინტერესდა

ჟურნალ "მეს" მეორე ნომერმა ხმაურის თანხლებით იხილა დღის სინათლე. თბილისისა და „რუსთავი 2"-ის ინტერნეტ ფორუმებზე ჟურნალს ცალკე თემაც კი დაეთმო. ჟურნალის გამოსვლას ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ც გამოეხმაურა. ჟურნალთან თბილისში გეი-პრაიდის მოწყობის ალბათობის ხელოვნურად დაკავშირება და დაპირისპირებისა და კონფლიქტის პროვოცირების მცდელობა უფრო იყო, ვიდრე ინფორმაცია თავად ჟურნალის შესახებ. სენსაციასა და აჟიოტაჟის შექმნაზე ორიენტირებული ჟურნალისტები ხშირად მიმართავენ სასურველი რეალობის მოდელირების ასეთ გზას. ზედაპირულობა და სენსაციებისადმი გამძაფრებული ლტოლვა კი სწორედ ის გამყოფია, რომელიც განასხვავებს ეგრეთწოდებულ „ყვითელ პრესას" იმ მედია საშუალებებისაგან, რომელთაც მეტი სერიოზულობისა და ობიექტურობის პრეტენზია აქვთ.

ჯიბგ ნელს ფონდის მოღვაწეობა წარმატებულად შეფასდა

ინკლუზივმა წარმატებით გაართვა თავი 2006 წელს დაგეგმილ ღონისძიებებს. ჩატარდა 16 ღონისძიება, მათ შორის, დისკუსიები სხვადასხვა აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით. დისკუსიების წარმართვაში ქართველი და კანადელი პარტნიორებიც ჩაერთნენ. კინოკლუბის სესიებზე ნაჩვენებ ფილმებს შორის აღსანიშნავი იყო გერმანელი და რუსი ქალების ქორწინების ამსახველი დოკუმენტური ფილმი, რომელიც ავტორმა პირადად წარადგინა (ინტერვიუს რეჟისორსა და ფილმის მთავარ გმირთან ჩვენი ჟურნალის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ). ჩატარდა სხვადასხვა სავარჯიშო და ტესტი ჯგუფის და მათი საჭიროებების უკეთ გასაცნობად. საერთო ჯამში ამ ღონისძიებებში 150-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. წლის ბოლოს შეგროვებული შეფასებების თანხმად, დამსწრეებმა მაღალი შეფასება მისცეს სადისკუსიო და კინოკლუბის შეხვედრებს. დონორი ორგანიზაციის წარმომადგენლებმაც დადებითად შეაფასეს ფონდის და მისი პარტნიორების მიერ გაწეული მუშაობა და 2007 წლის პროექტიც შენიშვნების გარეშე დაამტკიცეს. მიმდინარეობს მოლაპარაკება ახალი მიმართულებებით მუშაობის დაწყებაზე სხვადასხვა ორგანიზაციასთან.

საერთაშორისო მიმართულება

როგორც ლესბოსელებისა და გეების საერთაშორისო ორგანიზაციის (ILGA-Europe) უკვე სრულუფლებიანმა წევრებმა – ინკლუზივის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ამ ორგანიზაციის ყოველწლიურ კონფერენციაში და გამგეობის არჩევნებში. ფონდი აგრეთვე მიიწვიეს ევროსაბჭოს ანტიდისკრიმინაციული კამპანიის – „ყველა განსხვავებული, ყველა თანასწორის" პრეზენტაციაზე და სამუშაო ჯგუფში მიიღეს. ფონდმა მოლაპარაკებები წამოიწყო ლესბოსელებისა და გეების უფლებათა საერთაშორისო კომიტეტთან საქართველოში კიდევ ერთი საერთაშორისო ტრენინგის გამართვის თაობაზე. ფონდმა აგრეთვე წამოიწყო ლობირების კამპანია ევროსტრუქტურებთან, რათა მათი მეშვეობით ადექვატური რეაგირება მოახდინოს რიგი ქართველი პარლამენტარებისა და ჩინოვნიკების მიერ გაკეთებულ ჰომოფობურ გამონათქვამებზე. ყველა ეს ღონისძიება გაგრძელდება ჰპოვებს 2007 წლის განმავლობაში. მოვლენათა განვითარებაზე ჟურნალი "მე" დროულად აცნობებს თავის მკითხველს.

უსხოეთი

ILGA-Europe - 10 წლის ბახდა, საქართველო ჯი ევროპის ღობტ ჩეკაზე დაიტანეს.

ოქტომბრის ბოლოს ბულგარეთის დედაქალაქმა ილგა-ვროპის საიუბილეო მე-10 კონფერენციას უმასპიძლა. თავად ილგა არსებობის 29 წელს ითვლის, თუმცა ეს მე-10 კონფერენცია იყო კონკრეტულად ევროპის რეგიონის ორგანიზაციებისთვის. მასში მონაწილეობა მიიღო 200-მდე დელეგატმა ევროპის ყველა ქვეყნიდან და მათ შორის – საქართველოდანაც. კონფერენციის მთავარი თემა იყო: "ჩვენ ვართ ოჯახი – ჩვენი ოჯახები ევროპაში და ევროპული ოჯახი". ამ

თემის გარდა მრავალ პრობლემურ საკითხზე მიმდინარეობდა დისკუსიები საგანგებოდ მოწყობილ სექციებში. ვრცელად ამ კონფერენციის შესახებ იხილეთ რეპორტაჟების რუბრიკაში. გარდა კონფერენციისა, პარალელურად სოფიის გეი ფესტივალიც გაიმართა. ამ ფესტივალის დასკვნით გალაზე მისტერ გეი ბალკანეთი აირჩიეს, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებს "მისტერ გეი ევროპაზე" წარადგენს. ევროპული გეი კონკურსის თავმჯდომარემ სურვილი გამოთქვა, რომ საქართველოც იყოს წარდგენილი ამ ევროპულ კონკურსზე.

ბაეჩო: სექსუალური უმცირესობების უფლებები – ადამიანის უფლებები?

- ნოემბერში ნორვეგიამ აქამდე უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა და სექსუალური უმცირესობების თემატიკა, ამ ორგანიზაციის არსებობის განმავლობაში პირველად, გაეროს დღის წესრიგში დააყენა. ნორვეგიის მთავრობამ შეიმუშავა მიმართვა ადამიანთა უფლებების საბჭოსადმი, რომელშიც იგი გმობს ადამიანთა უფლებების დარღვევისა და ძალადობის გამოვლინების ფაქტებს სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე. მიმართვას 54 სახელმწიფო შეურთდა, მათ შორის ისეთი ქვეყნები, როგორიცაა უკრაინა, მოლდოვა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკები. ამ მიმართვის კვალდაკვალ, არასამთავრობო ორგანიზაციებმაც შეიმუშავეს მსგავსი მიმართვა, რომელსაც 60 ქვეყნის 400 არასამთავრობო ორგანიზაცია შეუერთდა, მათ შორის იყო ინკლუზივიც.

- მიუხედავად უამრავი დაბრკოლებისა, რომელსაც ჰომოფობიური სახელმწიფო პოლიტიკის მქონე ქვეყნები უქმნიან ევროპის ილგა-ს, გაეროს ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ (ECOSOC) დანიისა და გერმანიის ლესბოსელთა და გეი ორგანიზაციებს კონსულტატიური სტატუსი მიანიჭა. ამ მოვლენას დიდი მნიშვნელობა აქვს ლგბტ უფლებების გაეროს დღის წესრიგში აქტუალურად დაყენებისათვის. ახალი ფორუმი საყოველთაო თანასწორობისათვის ბრძოლას კიდევ უფრო ეფექტურს გახდის.

ევროპა = თანასწორობას

- თანასწორობა ის ფუნდამენტური ღირებულებაა, რომელთანაც პირველ რიგში ევროპა ასოცირდება. ამის ხაზგასასმელად, ევროგაერთიანებამ 2007 წელი ყველასათვის თანაბარი შესაძლებლობების წლად გამოაცხადა, რაც სექსუალური ორიენტაციის მიხედვით თანასწორობასაც მოიცავს.

- ევროპის ახალგაზრდულმა ფორუმმა (Youth Forum Jeunesse), ვილნიუსში გამართულ საერთო კრებაზე ერთხმად მიიღო რეზოლუცია „ინტეგრირებული მიდგომა ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის", რომელშიც იგი ევროკომისიას მოუწოდებს, უფრო დიდი ყურადღება დაუთმოს ახალგაზრდა ლგბტ-თათვის თავისუფალი თვითგამოხატვის წახალისებას. ფორუმი ქოლგა ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს 90-მდე პოლიტიკურ, რელიგიურ და სამოქალაქო ორგანიზაციას და ამდენად, რეზოლუციის ერთხმად მიღების ფაქტს გეების და ლესბოსელების ახალგაზრდული ორგანიზაციის (IGLYO) მესვეურნი დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ.

საქართველო ევროპის ყურადღებას არამარტო რუსეთთან დაძაბული ურთიერთობების ჭრილში იპყრობს. ლესბოსელებისა და გეების საერთაშორისო ორგანიზაციამ (ILGA-Europe) ფონდ ინკლუზივთან თანამშრომლობით მოამზადა ორი ვრცელი ანგარიში, რომელიც საქართველოში ლგბტ ჯგუფის მდგომარეობას ასახავს და ეხმიანება თანამდებობის პირთა მიერ საჯაროდ გამოთქმულ ჰომოფობიურ განცხადებებს.

აღნიშნული ანგარიში უკვე გადაეგზავნა ევროსაბჭოს ადამიანთა უფლებების კომისარსა და მონიტორინგის კომიტეტის სამდივნოს, საქართველოს პარლამენტსა და სახალხო დამცველს, ასევე ევროგაერთიანების წარმომადგენლობას თბილისში. ქვემოთ გთავაზობთ მიმართვის ტექსტს, რომელშიც მოკლედაა ჩამოყალიბებული ქვეყანაში არსებული სიტუაციის ზოგადი შეფასება და რეკომენდაციები. მიმდინარეობს მოლაპარაკება ანგარიშის ქართულად გამოცემის თაობაზე. მოვლენების შემდგომი განვითარების შესახებ უკვე შემდეგ ნომერში გაუწყებთ.

სოციალური და პოლიტიკური მიდგომები:

საქართველოს საზოგადოების ფაქტიურად ყველა ფენაში ჰომოსექსუალობის მიმართ მტრული დამოკიდებულება დომინირებს:

- ჰომოსექსუალობას უმეტესობა ავადმყოფობად, ცოდვად ან გარყვნილებად მიიჩნევს;
- ჰომოფობია და მისი გამოვლინების შედეგები არ აღიქმება, როგორც სერიოზული პრობლემა;
- ნეგატიური დამოკიდებულება ჰომოსექსუალთა მიმართ საღი აზრის გამოვლინებად და საზოგადოების სიფხიზლის და სიბრძნის ნიშნად აღიქმება;
- 1998 წელს ჰომოფობიური დამოკიდებულების კვლევისას, რომელშიც 430 რესპოდენტი მონაწილეობდა, გამოკითხულთა 84%-მა ჰომოსექსუალთა მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება დააფიქსირა. 14% ნეიტრალურ პოზიციას ინარჩუნებდა და მხოლოდ 2% იყო დადებითად განწყობილი (1);
- 2005 წელს, საგაზეთო პუბლიკაციების ანალიზმა ცხადყო, რომ ნეგატიურ შეფასებათა რიცხვი (65%) თითქმის ორჯერ აღემატებოდა ნეიტრალურს (35%). განსახილველი პერიოდის განმავლობაში არ დაფიქსირებულა ჰომოსექსუალობის/ჰომოსექსუალის დადებით კონტექსტში მოხსენიების არც ერთი შემთხვევა. მედიის მიერ გავრცელებულ სტერეოტიპთაგან ყველაზე ხშირად მეორდებოდა მითები ჰომოსექსუალობის, როგორც „დასავლური მოდის“, ავადმყოფობის, დემოგრაფიული კატასტროფის წინაპირობის, შოუბიზნესსა და პოლიტიკაში არსებული გეი მაფიისა და ჰომოსექსუალური ექსპერიმენტების დამლუპველ შედეგებზე (2).
- 2006 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, 81,4% არ იმეგობრებდა ჰომოსექსუალთან, ხოლო 71.1% არ ისურვებდა მათთან მუშაობას (3);

ლგბტ უფლებების ოპონირების ტენდენცია ადამიანთა უფლებების დამცველებისა და მაღალჩინოსანთა მხრიდანაც აღინიშნებოდა:

- ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის, ელენე თევდორაძის აზრით: „ქართველ ახალგაზრდობაში ორიენტაციის მასიური შეცვლა უფრო საშიში ტენდენციაა, ვიდრე კრიმინალური ტრადიციის მიყოლა“ (4);
- საქართველოს სახალხო დამცველი, სოზარ სუბარი არ ეთანხმება ლგბტ-თა მხრიდან თანასწორობის მოთხოვნებს (5);
- ევროინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის, დავით ბაქრაძის აზრით, საქართველოს კონსტიტუციის ანტიდისკრიმინაციული გარანტიები არ უნდა ვრცელდებოდეს სექსუალურ ორიენტაციაზე, ვინაიდან ეს უკანასკნელი მხოლოდ „პირადი სიმპათიისა და გემოვნების საკითხია“ (6).

(1)International Helsinki Federation for Human Rights, An Investigation into the Status of Women's Rights in Central & South Eastern Europe and the New Independent States, 2000

(2) „ჰომოსექსუალობის/ჰომოსექსუალების რეპრეზენტირება ქართულ მედიაში“. ფონდი “ინკლუზივი” თებერვალი. 2006.

(3) Caucasus Research Resource Center, Programme of Eurasia Foundation: Short Review of the Results of Caucasus Research Resource Center's Data Initiative Survey - December 2006

(4) „რატომ იცვლიან ქართველი ახალგაზრდები სექსუალურ ორიენტაციას?“. ინტერვიუ ელენე თევდორაძესთან. გაზეთი "ახალი თაობა". №307

(5) ტვ კომპანია „რუსთავი 2“. ყოველკვირეული პროგრამა „კურიერი P.S“, 28 მაისი, 2006 წ.

(6) ტვ კომპანია „რუსთავი 2“. ყოველკვირეული პროგრამა „კურიერი P.S~, 12 ნოემბერი, 2006 წ.

საფუძველზე მომზადებული ანგარიშების ხეზიემე

ღაბტ ჯგუფი

2005 წელს, საქართველოს არასამთავრობო სექტორის ფუნქციონირების შეფასებისას, გამოვლინდა, რომ ჰომოსექსუალები საზოგადოების ყველაზე მეტად მარგინალიზებულ ნაწილს წარმოადგენენ (7).

UNESCO-ს ანგარიშის მიხედვით ,,ჰომოფობიის დომინირების გამო ჰომოსექსუალებს ყველანაირი შესაძლებლობა აქვთ მოსპობილი საკუთარი ორიენტაციის გამოხატვისა და ასოციაციებისა და ჯგუფების ჩამოყალიბებისა“.

შემაშფოთებელია, რომ ჰომოსექსუალ მამაკაცთა მარგინალიზაცია და სტიგმატიზაცია მათ იზოლირებას ახდენს აივ/შიდსის წინააღმდეგ ბრძოლისას, რაც ზრდის მათი დასნებოვნების რისკს (8).

ჯგუფის სტიგმატიზაცია იმდენად ძლიერია, რომ ლგბტ ადამიანები არ აკეთებენ ქამინგაუთს. 120 გამოკითხულიდან მხოლოდ 13% აღმოჩნდა გახსნილი ოჯახთან, 15% - კოლეგებთან, 18% - მეზობლებთან, ხოლო 33% - მეგობრებთან (9).

იმავე კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 30% ერთხელ მაინც გამხდარა ჰომოფობიური ინციდენტის მსხვერპლი. ეს ინციდენტები მოიცავს დამამცირებელი სახელებით მიმართვას, ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას და პოლიციის მხრიდან შევიწროებას. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ გამოკითხულთა მცირე ნაწილია გახსნილი, ჰომოფობიური ინციდენტების სიხშირე შემაშფოთებლად მაღალია.

დიდი უმოქმედობაა ინციდენტების და შევიწროვების შესახებ გაცხადების მხრივაც, რასაც ლგბტ ჯგუფის წარმომადგენელთა შორის სახელმწიფო სტრუქტურებისადმი შიში და უნდობლობა განაპირობებს.

დადებითი მოვლენებიდან აღსანიშნავია პირველი ქართული ლგბტ ორგანიზაციის შექმნა და ოფიციალური რეგისტრაცია.

ბანოები

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი ანტიდისკრიმინაციული საფუძვლების ამომწურავ ჩამონათვალს იძლევა. თუმცა, მათ შორის სექსუალური ორიენტაცია ნახსენები არაა. სამაგიეროდ, დიდ პროგრესად მიიჩნევა 2006 წელს მიღებული შრომის კოდექსის ანტიდისკრიმინაციულ მუხლებში სექსუალური ორიენტაციის ჩამატება (10).

ღსსვნა

არგუმენტი, რომ საქართველოში ლგბტ ადამიანებისთვის თანასწორობის მინიჭების საკითხი პრიორიტეტული არაა, აქტუალობას კარგავს. ქვეყნის ხელისუფლებამ ამ მიმართულებით მისასალმებელი ნაბიჯი გადადგა, როდესაც შრომის კოდექსში სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე დისკრიმინაციის დაუშვებლობა ასახა. თუმცა, საზოგადოებაში ჰომოფობიის დონე და ჯგუფის გარიყულობის ხარისხი იმდენად მაღალია, რომ ეს ნაბიჯი მხოლოდ საწყისად შეიძლება ჩაითვალოს. აუცილებელია საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სამოქმედო გეგმის მიღება ანგარიშებში რეკომენდებული მიმართულებების შესაბამისად. გეგმაში აუცილებლად უნდა აისახოს შემდეგი ასპექტები:

- კანონმდებლობის შემუშავება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ (დასაქმების სფეროს გარდა);
- საზოგადოებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;
- სახელმწიფო მოხელეებისთვის, კერძოდ, პოლიციის, სასამართლოს და სასჯელაღსრულების დაწესებულებების წარმომადგენლებისთვის თემატური ტრენინგების ჩატარება;
- ლგბტ ადამიანებისა და საკითხების სამართლიანი და არადისკრიმინაციული ჩართულობა განათლების სისტემაში;
- ლგბტ ორგანიზაციების მხარდაჭერა და განვითარების ხელშეწყობა.

ამ ზომების გატარება დამყარებული უნდა იყოს საერთაშორისო ორგანიზაციების - ევროსაბჭოს, ევროკავშირის, ეუთოსა და ადგილობრივი ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციების მხარდაჭერაზე.

(7)Human Rights bodies, national human rights NGOs. 2005

(8) UNESCO, აივ-ინფექცია და შიდსი საქართველოში: სოციალურ-კულტურული მიდგომა, 2005

(9) ლგბტ ჯგუფის წარმომადგენელთა დისკრიმინაციის ფაქტების კვლევა საქართველოში.. თებერვალი. 2006.

(10) "საქართველოს შრომის კოდექსი". მუხლი 2. პუნქტი 3.

აივ-შიდსი

აივ/შიდსი

ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ) აღმოაჩინეს XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში; მას შემდეგ ამ ვირუსით გამოწვეულმა დაავადებამ - შიდსმა - მილიონობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

სად იდან გაჩნდა აივ-ი?

დღეისათვის არ არსებობს არც ერთი მეცნიერულად დამტკიცებული ვერსია ამ ვირუსის წარმოშობის შესახებ. არსებობს ბევრი ჰიპოთეზა. ერთნი ამტკიცებენ, რომ აივ-ი ბიოლოგიური იარაღია, რომელიც მეცნიერებმა სამხედრო მიზნებისათვის შეიმუშავეს, მეორენი ამბობენ, რომ აივ-ი არამიწიერი წარმოშობისაა და მის წყაროს უცხოპლანეტელები წარმოადგენენ. შედარებით მართებულია ჰიპოთეზა ვირუსის ცხოველური წარმოშობის შესახებ:

> *„მსგავსი ვირუსი აქვს მაიმუნების გარკვეულ ჯიშს ცენტრალურ აფრიკაში. დროთა განმავლობაში ვირუსმა განიცადა სახეცვლილება და „მოერგო“ ადამიანის ორგანიზმს, წარმოიშვა ვირუსის ახალი სახეობა:* ***ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი****“.*

რა არის შიდსი და რა არის აივ-ი?

იმისათვის, რომ გავარკვიოთ რა არის შიდსი, ჯერ მოვყვეთ აივ-ის შესახებ. აივ-ი - ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის შემოკლებული დასახელებაა. დაავადებას, რომელსაც იწვევს აივ-ი, ეწოდება აივ ინფექცია. აივ ინფექცია იწყება ვირუსის ორგანიზმში შეჭრის დღიდან და გრძელდება ადამიანის სიცოცხლის ბოლომდე.

აივ ინფექცია შეიძლება მიმდინარეობდეს წლების (4-12 წელი) განმავლობაში ყოველგვარი ნიშნების გარეშე. გარკვეულ პერიოდში შესაძლებელია მოიმატოს ადამიანის სხეულის ტემპერატურამ, გადიდდეს ლიმფური კვანძები („ჯირკვლები“), გამოიხატოს სისუსტე, უმადობა, კუჭის აშლილობა. უმრავლეს შემთხვევაში ადამიანი არ აქცევს ამ ნიშნებს ყურადღებას და არ მიმართავს ექიმს. ძალიან მოკლე დროში ეს ნიშნები ქრება და ადამიანს არაფერი აწუხებს, მაგრამ დაავადება აგრძელებს ფარულად განვითარებას. აივ ინფიცირებული ადამიანი შეიძლება თავს კარგად გრძნობდეს მრავალი წლის განმავლობაში და არც კი იცოდეს, რომ ინფიცირებულია.

რამდენიმე წლის შემდეგ აივ ინფექცია აზიანებს და თანდათან ანგრევს ორგანიზმის იმუნურ სისტემას (იმუნიტეტს).

იმუნური სისტემა იცავს ადამიანის ორგანიზმს სხვადასხვა ინფექციებისაგან. მდგომარეობას, როდესაც იმუნური სისტემა დანგრეულია და ადამიანი ინფექციებისაგან დაუცველი ხდება, უწოდებენ შიდსს - შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომს. შიდსი არის აივ ინფექციის ბოლო სტადია. ამ დროს თავს იჩენს ისეთი ინფექციები და სიმსივნეები (ე.წ. ოპორტუნისტული დაავადებები), რომლებიც ჯანმრთელი იმუნური სისტემის პირობებში არ ვითარდებიან. შიდსის დროს ორგანიზმში განვითარებული ცვლილებები იწვევს ადამიანის სიკვდილს.

ამრიგად, აივ-ი ვირუსია, რომელიც თრგუნავს იმუნურ სისტემას, ხოლო შიდსი აივ ინფექციით გამოწვეული დაავადებათა კომპლექსია, რომელიც ჩნდება აივ ინფიცირებულ ადამიანში დაბალი იმუნიტეტის ფონზე.

აივ-შიდსი

ᲠᲐ ᲒᲖᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲔᲛᲐ ᲐᲘᲕ-ᲘᲡ?

* **დაუცველი** (უპრეზერვატივო) **სქესობრივი კონტაქტით** (ვაგინალური - საშოში, ორალური - „მინეტი“, ანალური - უკანა ტანში);
* **სისხლის კონტაქტით** - შეუმოწმებელი სისხლის გადასხმა, სხვისი შპრიცის, ნემსის, საპარსის, კბილის ჯაგრისის, არასტერილური სამედიცინო ან კოსმეტოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენება და სხვ;
* **დედიდან შვილზე** ორსულობისას, მშობიარობისას ან ძუძუთი კვებისას.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲔᲛᲐ ᲐᲘᲕ-ᲘᲡ?

* ხელის ჩამორთმევით;
* ოფლით ან ცრემლებით;
* დახველების ან დაცემინებისას;
* საერთო ჭურჭლის ან თეთრეულის გამოყენებისას;
* საერთო აბაზანის ან ტუალეტის გამოყენებისას;
* საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობისას;
* ცხოველის ან მწერის ნაკბენით;
* კოცნით, ხელის ჩამორთმევით და სხვ.

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲔᲛᲐ ᲐᲘᲕ-Ი ᲙᲝᲚᲝᲡ ᲜᲐᲙᲑᲔᲜᲘᲗ?

როდესაც კოღო კბენს ადამიანს, ის ნაკბენში ასხურებს თავის ნერწყვს. კოღოს ნერწყვში აივ-ი არ ხვდება, რადგან კოღოს მიერ შეწოვილი ადამიანის სისხლი ხვდება მის მუცელში, ხოლო კოღოს ნერწყვი გამომუშავდება ცალკე არსებულ ჯირკვალში, შესაბამისად კოღოს ნერწყვი და მის მიერ შეწოვილი სისხლი ერთმანეთში არ ერევა. გარდა ამისა, აივ-ი სიცოცხლისუნარიანია მხოლოდ ადამიანის ორგანიზმში. სხვა ცხოველის ან მწერის ორგანიზმში აივ-ი იღუპება. ამიტომ არც კოღოს, არც სხვა მწერის ან ცხოველის ნაკბენით აივ-ი არ გადადის.

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲔᲛᲐ ᲐᲘᲕ-Ი ᲙᲝᲡᲜᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ?

ამ გზით აივ-ი არ გადაეცემა. არსებობს მცირე ალბათობა ვირუსის გადაცემისა ღრმა კოცნის დროს, თუ დაზიანებულია ტუჩები ან პირის ღრუს ლორწოვანი გარსი (მაგ. ანთებითი პროცესები პირის ღრუში, სისხლდენები და სხვ.). რაც შეეხება ნერწყვს, ცნობილია, რომ ინფიცირებული ადამიანის ნერწყვი არ შეიცავს აივ-ს იმ რაოდენობით, რაც საჭიროა სხვა ადამიანის დაინფიცირებისთვის. თეორიულად საჭიროა 4 ლიტრამდე დაინფიცირებული ნერწყვი, რომ აივ-ი გადაეცეს სხვა ადამიანს.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲕᲘᲪᲕᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲐᲘᲕ-ᲘᲡᲑᲐᲜ?

თუ იცი, როგორ გადაეცემა აივ-ი, შეძლებ მისგან თავის დაცვას.

შენ შეგიძლია, მიიღო გადაწყვეტილება, იყოლიო მხოლოდ ერთი, ერთგული სქესობრივი პარტნიორი. თუ შენ არ შეგიძლია, წარმოიდგინო შენი ცხოვრება სექსის გარეშე და არ გყავს მუდმივი პარტნიორი, მაშინ გამოიყენე პრეზერვატივი, რომელიც დაგიცავს სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებისგან.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲑᲐᲕᲘᲑᲝ, ᲘᲜᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ ᲗᲣ ᲐᲠᲐ?

აივ-ის აღმოჩენა ორგანიზმში შესაძლებელია სავარაუდო დაინფიცირების დღიდან (ვირუსის ორგანიზმში შეჭრიდან) დაახლოებით 3 თვის შემდეგ.

ორგანიზმში აივ-ის გამოვლენის ერთადერთი საშუალება აივ-ზე სისხლის სპეციალური ანალიზია. ანალიზის პასუხი შეიძლება იყოს:

* უარყოფითი – ადამიანი არ არის ინფიცირებული;
* დადებითი – ადამიანი ინფიცირებულია;
* გაურკვეველი – სისხლის ანალიზი არასაკმარისად მკაფიოა და აუცილებელია განმეორებითი ტესტირება აივ-ზე.

ᲘᲫᲣᲜᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲐᲘᲕ/ᲨᲘᲓᲡᲘ?

სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ არის აივ ინფექციით დაავადებულის სრული განკურნების საშუალება. არსებული მკურნალობის მიზანია დაავადებულის სიცოცხლის მაქსიმალური გახანგრძლივება.

მასალა მოამზადა საინფორმაციო სამედიცინო ფსიქოლოგიურმა ცენტრმა "თანადგომა"

თანასწორობა ქართველებსა და ევროპელებს

ფონდი ინკლუზივის, ისევე როგორც სხვა უფლებათადამცველი ორგანიზაციების მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყანაში არსებული მედია-საშუალებების მონიტორინგი და თანამდებობის პირთა მიერ ადამიანის ღირსებისა და უფლებების შემლახველ გამონათქვამებზე სათანადო რეაგირება გახლავთ. ბოლო პერიოდის განმავლობაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ჰომოფობიური განცხადების მოწმენი გავხდით სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელთა მხრიდან. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ეს სწორედ ის პირები არიან, რომლებიც სამოქალაქო თანასწორობას უნდა იცავდნენ. თუმცა, როგორც ჩანს, ჩვენს ქვეყანაში, ამ მხრივ, ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული.

ამ საჯარო გამოსვლებთან დაკავშირებით ფონდმა ინკლუზივმა მცირე ანგარიში მოამზადა, რომელიც საკითხის შემდგომ ლობირებაში ხელშეწყობისათვის ლესბოსელებისა და გეების საერთაშორისო ორგანიზაციას გადაუგზავნა. საბოლოო ანგარიში დაეგზავნა ევროპის საბჭოს ადამიანთა უფლებების კომისარს, მონიტორინგის კომიტეტის სამდივნოს, ევროპარლამენტს, საქართველოს პარლამენტსა და სახალხო დამცველს, აგრეთვე ევროგაერთიანების წარმომადგენლობას საქართველოში.

ანგარიშში ყურადღება გამახვილდა იმ სამ შემთხვევაზე, რომელზეც ჟურნალის სხვა სტატიებშიც ვსაუბრობთ. გაზეთ „ახალი თაობისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ქალბატონი ელენე თევდორაძე ქართველ ახალგაზრდებში სექსუალური ორიენტაციის მასობრივად შეცვლის ტენდენციაზე საუბრობს და ამ მოვლენას დამნაშავეობის ზრდას უკავშირებს. იქვე კი შეფასებას აძლევს ამ „პრობლემას“ და აცხადებს, რომ ეს „არანაკლები საშინელებაა, ვიდრე ქურდულ სამყაროში ჩართვა“. მეორე შემთხვევა საქართველოს სახალხო დამცველს უკავშირდება, რომლის აზრითაც ლგბტ ადამიანთა თანასწორობის მოთხოვნის გაზიარება მისთვის სავალდებულო არ არის. მესამე შემთხვევაში, ევროინტეგრაციის საპრლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ კონსტიტუციის ანტიდისკრიმინაციული მუხლები მოიცავს ადამიანის ისეთ მოთხოვნილებებს, რომელიც მას დაბადებისას უჩნდება და რომელთა შეცვლაც შეუძლებელია, მაგალითად რასა, კანის ფერი და სქესი, ხოლო რაც შეეხება პირად სიმპათიებს და გემოვნებას [იგულისხმება სექსუალური ორიენტაცია] ამას კონსტიტუცია არ უნდა მოიცავდეს.

ჟურნალი “მე” დაინტერესდა ევროპელი პოლიტიკოსების აზრით ამ გამონათქვამების თაობაზე. ანგარიშში მოყვანილ ფაქტებზე კომენტარი ვთხოვეთ ევროპარლამენტის წევრს, ქალბატონ სოფი ინტ ველდს, რომელიც სიამოვნებით დაგვთანხმდა ინტერვიუზე. ქალბატონი ინტ ველდი ევროპარლამენტის ლესბოსელი და გეი დეპუტატიის ვიცე-პრეზიდენტია და აქტიურადაა ჩართული ლგბტ ჯგუფის უფლებების დაცვაში. როგორც ჟურნალ „მეს“ წინა ნომერში ვიუწყებოდით, ის ნომინირებული იყო 2006 წლის ევროპარლამენტარის წოდებაზე.

თანასწორობა ქართულად და ევროპულად

ჟურნალი „მე“: რა აზრისა ხართ ანგარიშში მოყვანილ გამონათქვამებზე, რომელიც თქვენს ქართველ კოლეგებს ეკუთვნით?

სივ: ზოგიერთი მათგანის კომენტირება ძალიან რთულია, რადგან სერიოზული რიტორიკის ფარგლებს სცილდება. თუმცა, მინდა ავღნიშნო, რომ ეს რიტორიკა სიმპტომატურია ისეთი ხელისუფლებისთვის, რომელიც ცდილობს გაექცეს პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე. ამ დროს ხდება კონკრეტული ჯგუფის გამოყოფა და ყველაფრის მათთვის გადაბრალება. ამის ისტორიული მაგალითები მრავლად მოიპოვება – კუდიანებზე ნადირობა, ებრაელთა დევნა და ქსენოფობიის სხვა ნებისმიერი გამოვლინება. თუნდაც, უკანასკნელ თვეებში რუსეთში ეთნიკურ ქართველებზე გაზშირებული თავდასხმები გავიხსენოთ. რაც შეეხება კავშირს დანაშაულის ზრდასა და სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცულობას შორის, მაგალითისთვის ჰოლანდიას მოვიყვან: სექსუალური უმცირესობები არც ერთ სხვა ქვეყანაში არ სარგებლობენ სამოქალაქო თანასწორობის ისეთი ხარისხით, როგორც ჰოლანდიაში. დიდი ეჭვი მაქვს, რომ ამის გამო ჰოლანდიაში დამნაშავეობის დონე უფრო მაღალი იყოს, ვიდრე საქართველოში.

კომენტარს გავაკეთებდი აგრეთვე ომბუდსმენის პოზიციასთან დაკავშირებითაც. როგორც ევროგაერთიანების კანონმდებლობა, ისე საქართველოსთან მიმართებაში დამტკიცებული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა ცალსახად განსაზღვრავს ნებისმიერი ჯგუფის ადამიანთა უფლებების თანაბარ მნიშვნელობას. თავისთავად, საკითხის ამგვარად დაყენებაც კი, რომელი ჯგუფი უნდა სარგებლობდეს უფლებებით და რომელი არა, არღვევს საყოველთაო თანასწორობის პრინციპს.

რაც შეეხება ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის გამონათქვამს: ძალიან ცოტა ქვეყნის კონსტიტუციაში არის ნახსენები სექსუალური უმცირესობები, თუმცა, ჩვენს დროში კანონმდებლობა მუდმივად ზუსტდება საერთაშორისო სამართლის კონვენციური და პრეცედენტული ნორმებით. ამ შემთხვევაში, ეს სრულად ვრცელდება საქართველოზეც. ხოლო ადამიანის მოთხოვნილებების განსაზღვრა იმით, რაც მას დაბადებისას უჩნდება, უბრალოდ, არამართებულია – დაბადების შემდეგ ადამიანის ასაკი მუდმივად იცვლება, მაგრამ მიუხედავად ამისა არავის აქვს ასაკის მიხედვით ვინმეს დისკრიმინაციის უფლება. ანალოგიურად, უნარშეზღუდულობის შემთხვევათა ძალიან მცირე ნაწილი ვლინდება დაბადებისას. ამაზე რაღა ვთქვათ? ხოლო იმ ფაქტს, რომ ჩემი კოლეგის აზრით, შეუძლებელია, მაგალითად, კანის ფერისა და სქესის შეცვლა, საერთოდ უკომენტაროდ დავტოვებ.

მე: როგორ უნდა აისახოს ლგბტ ადამიანების უფლებები საქართველოში, რომელიც დეკლარირებულად ევროპულ ფასეულობებს აღიარებს?

ევროპაში თანასწორობის გაგება ცალსახაა. ჩვენ უარვყოფთ ისეთ მიდგომას, როცა ყველა ადამიანი თანასწორია, ზოგიერთი კი უფრო თანასწორი. არ შეიძლება ვიყოთ ტოლერანტულები ერთი ჯგუფის მიმართ და არ ვიყოთ – სხვა ჯგუფების მიმართ. ეს არ არის ჩვენი მხრიდან რაიმე ზედმეტი კეთილშობილების გამოხატვა – ადამიანი ან არის ტოლერანტული სხვადასხვა ჯგუფის მიმართ, ყოველგვარი განსხვავების გარეშე, ან – არ არის.

მე: რას უსურვებდით თქვენს ქართველ კოლეგებს?

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარე დადებითი პროცესების წყალობით, საერთაშორისო საზოგადოებრიობა ისევ შემოტრიალდა საქართველოსკენ. ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული ცვლილებების გამო აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისთვის იგი მისაბაძი მაგალითი გახდა. სასურველია, თქვენი ქვეყანა ლგბტ უფლებების დაცვის დარგშიც მისაბაძ მაგალითად იქცეს სხვა ევროპული ქვეყნებისათვის.

როდესაც თქვენი პრეზიდენტი გვესტუმრა მხარდაჭერის მოსაპოვებლად, ჩვენ, დარბაზში მსხდომები მას ქართული დროშებით დავხვდით და ოვაცია მოვუწყვეთ. დიდი იმედი გვაქვს, რომ ყველაფერი, რისი პირობაც მან დადო პირნათლად შესრულდება და ეს დიდ გავლენას იქონიებს თქვენი ყოველი თანამოქალაქის თანასწორუფლებიანობაზე. ჩემი კოლეგების, საქართველოს პარლამენტარების ადგილს კი ამ თანასწორობისთვის ბრძოლის ავანგარდში ვხედავ.

მე: რას ეტყოდით საქართველოში მცხოვრებ ლგბტ ადამიანებს?

მინდა ვუთხრა, რომ აუცილებლად გამხნევდნენ. მართალია, ჩვენ შორს ვცხოვრობთ და ბევრი პრობლემა, რომლებსაც ისინი თქვენს ქვეყანაში აწყდებიან, ევროპის შუაგულში აქტუალური აღარაა, მაგრამ ჩვენ ვსწავლობთ და ვგრძნობთ მათ მდგომარეობას, ვიცით, რაოდენ რთულია მათთვის თვითრეალიზაცია და თავისუფლად ცხოვრება. ევროპარლამენტი ყოველთვის დაიცავს საქართველოში მცხოვრები ლგბტ ადამიანების უფლებებს და მხარში დაუდგება ლგბტ მოძრაობას საქართველოში.

ზეიმი ოჯახის წიაღში

ლესბოსელებისა და გეების საერთაშორისო ორგანიზაცია (ILGA) 1978 წელს შეიქმნა. სხვადასხვა რეგიონში არსებული პრობლემების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 10 წლის წინ, შედეგების ეფექტურობის გასაზრდელად, რეგიონალიზაცია გახდა საჭირო. წლევანდელი იუბილარი ILGA-ს რეგიონულ ორგანიზაციას წარმოადგენს. ევროპაში რეგიონული სტრუქტურის საჭიროებას ILGA-Europe ასე განსაზღვრავს: "რადგან ევროპა ჯერ კიდევ არაა ის კონტინენტი, სადაც ლგბტ ადამიანები არ განიცდიან დისკრიმინაციას, არ იმყოფებიან სტერეოტიპების გავლენის ქვეშ და არ ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი...". ამ სიტყვების სისწორეში სულ მცირე, ლგბტ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციათა შთამბეჭდავი რიცხვი დაგარწმუნებთ.

ილგა-ევროპა არასამთავრობო ქოლგა ორგანიზაციაა, რომელიც ლგბტ ადამიანების უფლებებზე მომუშავე 200-მდე ორგანიზაციას აერთიანებს ევროპის მასშტაბით. წელს, ამ ორგანიზაციათა რიცხვს ფონდი "ინკლუზივიც" შეემატა. ცხადზე ცხადია, ამ ორგანიზაციების უნიკალური პრაქტიკული გამოცდილება უფლებებისათვის ბრძოლაში და სხვადასხვა კულტურებისა თუ ქვეყნებისათვის დამახასიათებელი პრობლემების სპეციფიურობა, აზრთა მნიშვნელოვან სხვადასხვაობას იწვევს, როცა მიზნის მისაღწევად საჭირო გზებსა და კონკრეტულ მეთოდებს ეხება საუბარი. ერთადერთი, რაზეც ყველა უპირობოდ თანხმდება, უკეთესი ევროპის ხატია, სადაც "უზრუნველყოფილი იქნება ადამიანის უფლება, საყოველთაო თანასწორობა და ყველა ადამიანი დაცული იქნება დისკრიმინაციისაგან სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტურობის ან თვითგამოხატვის ნიადაგზე".

საბჭოს არჩევნებისა და კანდიდატთა პროგრამების წარდგენის გარდა, რომელში მონაწილეობის პატივი ჩვენს ორგანიზაციასაც ერგო, კონფერენციის დანარჩენ დღეებში უამრავი საინტერესო სამუშაო შეხვედრა თუ სემინარი მოეწყო. შეხვედრების ფორმატი იმგვარად იყო დაგეგმილი, რომ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ დელეგატებს მაქსიმალურად გაადვილებოდათ თანამშრომლობა - თეორიული ცოდნიდან, მუშაობის პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებით დამთავრებული. გარდა ამისა, ეს ფორუმი საკმაოდ მოხერხებულია საერთაშორისო კონტაქტების დამყარებისა და ცალკეული საკითხების ლობირებისათვის, ვინაიდან ორგანიზაციათა ფართო სპექტრის გარდა, ფორუმს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ესწრებიან - გაერო, ეუთო, ევროსაბჭო, ევროკომისია, ევროპარლამენტი და სხვ.

სექსუალობა სხვადასხვა კულტურებში, სექსუალობა და სულიერება, სექსუალობა და ტრანსგრესია, სპეციფიური პრობლემები ლგბტ ჯგუფების შიგნით, მედია-კამპანიების დაგეგმვისა და წარმართვის თავისებურებები, ლობირების აპრობირებული მეთოდები... ასეთი გახლავთ შეხვედრების თემატიკის არასრული ჩამონათვალი. ევროსაბჭოსა და ეუთოს წარმომადგენლებმა ცალკე შეხვედრა დაუთმეს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულსა და ცალკეული ინციდენტების განხილვას. ცხადია, ჩვენთვის საინტერესო ყველა შეხვედრაზე დასწრება ფიზიკურად შეუძლებელი იყო და სასურველი პროგრამა საკითხების აქტუალობის მიხედვით შევადგინეთ. ჩვენს მდგომარეობაში კონფერენციის ბევრი მონაწილე აღმოჩნდა და ამიტომაც ცხარე დებატები და ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა ხშირად, შეხვედრების შემდეგაც გრძელდებოდა პატარა-პატარა ჯგუფებში.

დელეგატთა უმრავლესობას, ცხადია სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები შეადგენდნენ, თუმცა ნაკლებ აქტიურობას არც თანამოაზრეთა და მხარდამჭერთა ორგანიზაციების წარმომადგენლები იჩენდნენ. მოძრაობა, რომელიც ახალგაზრდა გეებისა და ლესბოსელების ოჯახის წევრებმა წამოიწყეს, თანდათან ძლიერდება ევროპაში. მხარდამჭერი მსვლელობების ორგანიზების გარდა, ისინი ფართო საგანმანათლებლო მუშაობასა და ლობირების პროცესებშიც აქტიურად არიან ჩაბმულები.

ილგა-ევროპის ათწლიანი იუბილის აღსანიშნავ საღამოზე, რომელსაც წინ ხუთდღიანი დაძაბული მუშაობა უძღოდა, მართლაც თბილი და ოჯახური ატმოსფერო შეიქმნა. ალბათ, ამიტომაც, სავსებით ბუნებრივად ჟღერდა გამოსამშვიდობებელი სიმღერა, რომელსაც ერთხმად მღეროდა ფეხზე წამომდგარი ორასკაციანი დარბაზი - "We are family".

თეორიიდან პრაქტიკამდე

შიდსთან ბრძოლის ყველაზე ეფექტურ მეთოდად პრევენციული ღონისძიებების გატარება ითვლება, რაც ფართო საგანმანათლებლო მუშაობასა და ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდას გულისხმობს. პროფილაქტიკური პროგრამები უპირველესად რისკ-ჯგუფის წევრთა ქცევის შეცვლაზეა მიმართული. რაც, თავის მხრივ, დეტალურ კვლევასა და ჯგუფებთან მუშაობის სპეციფიური ცოდნის საჭიროებას განაპირობებს.

ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის მონაცემებით, აივ-შიდსის გავრცელების უპირველეს რისკ-ჯგუფს ინტრავენური ნარკომანები წარმოადგენენ (61.8%). 2007 წლის 10 იანვრის მონაცემებით, საქართველოში რეგისტრირებულია ინფიცირების 1156 შემთხვევა. გავრცელების თვალსაზრისით, რეგისტრირებულ 1,3% შემთხვევაში, ვირუსის გავრცელების გზა უცნობია. თუ გავითვალისწინებთ ჩვენს საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიის მაღალ დონეს, სავარაუდოა, რომ აივ-ის ზოგიერთი რეგისტრირებული შემთხვევა, რომლის წყაროც დაუდგენელია, შეიძლება მამაკაცის მამაკაცთან დაუცველი სექსუალური კონტაქტის შედეგი იყოს. სექსუალურ ქცევებთან და ორიენტაციასთან დაკავშირებული ნეგატიური შეფასებები, ხშირ შემთხვევებში ართულებს როგორც ინფექციის გავრცელების წყაროს დადგენას, ასევე პრევენციული ღონისძიებების განხორციელებასაც.

იმ ქვეყნებში, სადაც არ არსებობს ძლიერი ლგბტ მოძრაობა, შიდსის პროფილაქტიკა მსმ (მამაკაცი, რომელსაც სექსი აქვს მამაკაცთან) ჯგუფში არასამთავრობო სექტორისა და სახელმწიფო სერვის-ცენტრების ამოცანა ხდება. მსმ ჯგუფებთან მუშაობის გამოცდილება სხვა ქვეყნებში აჩვენებს, რომ ჰომოფობიასთან ბრძოლა, სპეციალური სამსახურების შექმნისა და მსმ ჯგუფის მოთხოვნათა შეფასების კვალდაკვალ, აივ-შიდსის პროფილაქტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

9-12 ოქტომბერს ფონდმა ინკლუზივმა აივ/შიდსის პრევენციის თემაზე გამართულ ტრენინგ სემინარს უმასპინძლა. ტრენინგს ჰოლანდიური ირგანიზაციების COC Netherlands და Schorer -ის, აგრეთვე მოლდოვური ორგანიზაციის Gender Doc M eქსპერტები უძღვებოდნენ. ტრენინგში მონაწილეობას იღებდა ფონდი ინკლუზივის 7 პარტნიორი ორგანიზაცია მოლდოვადან, უკრაინიდან, სომხეთიდან, ყირგიზეთიდან და საქართველოდან.

სემინარის ძირითადი თემა აივ/შიდსის პრევენციის საკითხებზე ლგბტ ჯგუფებთან მუშაობის მეთოდებისა და საშუალებების განხილვა იყო კონკრეტული ქვეყნების თავისებურებების გათვალისწინებით. სემინარში მონაწილე რამდენიმე ორგანიზაციას ლგბტ ჯგუფებთან მუშაობის მრავალწლიანი პრაქტიკა გააჩნია. ისინი აქტიურად თანამშრომლობენ აივ/შიდსის პრევენციაზე მომუშავე ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სოციალურ სამსახურებთან, შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან.

სემინარზე მიღებული პრაქტიკული გამოცდილების გარდა, მნიშვნელოვანი იყო თავად ამ ქვეყნებში არსებული მდგომარეობის გაცნობაც, ვინაიდან, შიდსის გავრცელების კანონზომიერებიდან გამომდინარე, ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მეზობლ ქვეყნებში არსებული ვითარებაც. სემინარის მონაწილე ქვეყნებში, ისევე როგორც აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტ-საბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებში, დღემდე ძირითად რისკ-ქცევად ნარკოტიკების ინტრავენური მოხმარება რჩება. თუმცა, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ინფექციის გავრცელების გზებს შორის სწრაფად იზრდება ინფექციის სექსუალური კონტაქტით გადაცემის ხვედრითი წილი, განსაკუთრებით მოლდოვასა და უკრაინაში. ინფიცირების რისკის სწრაფ ზრდას ხელს უწყობს შრომითი მიგრაციაც. არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ბევრი სამუშაოდ მიემგზავრება რუსეთში, იტალიაში, თურქეთში, რაც საბოლოო ჯამში აისახება აივ-პოზიტიურთა ზრდის ფაქტზეც მათ პარტნიორებს შორის. იზრდება ვირუსის ჰომოსექსუალური კონტაქტით გავრცელების პროცენტული მაჩვენებელიც, რაც კიდევ ერთხელ გვანახებს როგორც პროფილაქტიკური სამუშაოების გაძლიერების აუცილებლობას ლგბტ ჯგუფებს შიგნით, ისე ამგვარი შეხვედრებისა და გამოცდილების გაზიარების საჭიროებასაც.

მითები ჰომოსექსუალობის შესახებ

რუსეთში ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ დაწყებულმა კამპანიამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ქვეყანაში. ქართული მედია-საშუალებები, როგორც ეს დემოკრატიულ, თავისუფალ და ევროპულ ღირებულებებზე ორიენტირებული სახელმწიფოს მედიას შეეფერება, ერთხმად ალაპარაკდნენ რუსული ხელისუფლების ფაშიზმზე, ნეონაციზმსა და ქსენოფობიაზე. არ გამორჩენიათ არც ერთი რუსი პოლიტიკოსის ფრაზა, რომელიც ქსენოფობიის ან რასიზმის გამოვლინებად მიიჩნიეს. თუმცა, რალაც არ მახსოვს, ამგვარი ერთსულოვნება და დემოკრატიული ფასეულობებისაკენ სწრაფვა გამომჟღავნებინოს ჩვენს მედიას, როცა ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა სატელევიზიო ინტერვიუში კონდოლიზა რაისი „იმ შავ ქალად“ მოიხსენია. არც მეორე პოლიტიკოსის წინასაარჩევნო „პროგრამას“ გაუღიზიანებია ვინმე ორიოდე წლის წინ, როდესაც ჰიტლერის ჰომოსექსუალთა ერთ გემზე შეყრა-ჩაძირვის განუხორციელებელ გეგმაზე საუბრობდა აღტაცებით. „ერთიანი, დემოკრატიული, ევროპულ და ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში გაწევრიანებული ქვეყანა“ კი მხოლოდ სხვის თვალში ბეწვის დანახვითა და „მტრულად განწყობილი სახელმწიფოს“ ქსენოფობიური პოლიტიკის კრიტიკით ვერ აშენდება. ორმაგი სტანდარტები და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან პრობლემებისაგან დისტანცირების ამგვარი ფორმები სიტუაციის გაჯანსაღებას ნამდვილად არ უწყობს ხელს.

სამწუხაროდ, ასეთ სიტუაციაში ინსტიტუციები, რომლებიც, წესითა და რიგით, მედიატორების როლში უნდა გამოდიოდნენ ხშირად კოლექტიური ფობიებისა და აგრესიულობის გაღვივებას უწყობენ ხელს, ნებით თუ უნებლიედ. მედია დღესდღეობით საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების ყველაზე მძლავრ იარაღს წარმოადგენს. სწორედ მისი მეშვეობით ხდება „უცხოს“, როგორც მტრის ხატის სტერეოტიპიზაცია და ტირაჟირება ისედაც დაქსაქსულ საზოგადოებაში. ქსენოფობიის გასამძაფრებლად საჭირო სადემარკაციო ხაზებს კულტურული, სოციალური, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა რამ ნიშნით ყოველდღე დაუღალავად ავლებს ქართულენოვანი მედია „ჩვენსა“ და „სხვას“ შორის.

გამონაკლისს არც ლგბტ ადამიანები წარმოადგენენ. ჰომოფობიური პუბლიკაცია-რეპორტაჟების პარალელურად, სხვადასხვა მითების გავრცელებით, მედია ხელს უწყობს ჯგუფის მარგინალიზაციას, აფერხებს ქამინგაუთის პროცესსა და მათ ნორმალურ ინტეგრაციას საზოგადოებაში. სამომავლოდ, ჟურნალის მოცულობის გაზრდასთან ერთად, დაგეგმილი გვაქვს ცალკე რუბრიკა დავუთმოთ ქართულენოვანი მედიის გამოხმაურებებს ჩვენთვის აქტუალურ საკითხებზე. დღეს კი გავაგრძელებ ჟურნალ „მეს“ მეორე ნომერში დაწყებულ თემას ქართულენოვან მედიაში ჰომოსექსუალობის/ჰომოსექსუალების შესახებ გავრცელებული მითებისა და სტერეოტიპების შესახებ.

მითი: საქართველოში მცხოვრები ჰომოსექსუალები დასავლური მოდის ზეგავლენით იცვლიან ორიენტაციას.

ამგვარი წარმოდგენა ეფუძნება არასაკმარის ცოდნას ადამიანის სექსუალობის და კონკრეტულად, სექსუალური ორიენტაციის შესახებ. ასევე გაუგებრობას, რომელიც ყოველთვის წარმოიქმნება, თუკი ერთმანეთისაგან არ განვასხვავებთ სექსუალურ ქცევასა და სექსუალურ ორიენტაციას.

სექსუალური ორიენტაცია, სექსუალური ქცევისაგან განსხვავებით, დაკავშირებულია ადამიანის გრძნობებსა და ემოციებთან და არა მოქმედებასთან (ქცევასთან). ადამიანის სექსუალური ორიენტაცია, შეიძლება, არც მჟღავნდებოდეს მის რეალურ ქცევაში. ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანს მთელი ცხოვრების განმავლობაში არ ჰქონია არც ერთი ჰომოსექსუალური აქტი, ის მაინც ჩაითვლება ჰომოსექსუალად, თუ მას მისივე სქესის ადამიანები იზიდავენ. ასეთი ქცევა შეიძლება ჩაითვალოს ჰეტეროსექსუალური ქცევის იმიტაციად, რომელიც არ შეესაბამება მის სექსუალურ ორიენტაციას. რასაკვირველია, შესაძლებელია ამგვარი რამ პირიქითაც მოხდეს - ჰეტეროსექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანის ქცევა კონკრეტულ პერიოდსა და გარემოში ჰომოსექსუალური იყოს, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ეს ადამიანი ჰომოსექსუალია.

მითი: შოუ-ბიზნესსა და პოლიტიკაში არსებობს გეების მაფია, რომელიც ხელს უშლის ჰეტეროსექსუალებს კარიერაში.

მითი "ცისფერი მაფიის" შესახებ საკმაოდ ხშირად გვხვდება სხვადასხვა სახის შეთქმულებათა თეორიების მოყვარულთა შორის. არ არსებობს პროფესია, რომელსაც მხოლოდ ჰომო ან ჰეტეროსექსუალები ატარებენ. ჩვეულებრივ, პიროვნულ შეხედულებებს შორის განსხვავება გაცილებით ძლიერია, ვიდრე საეჭვო ერთობა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით. დასავლეთში არსებობს სხვადასხვა პროფესიული გეი-ასოციაციები, მაგრამ არც ერთი მათგანის მიზანს არ წარმოადგენს კონკრეტული მოღვაწეობის სფეროს ტოტალური კონტროლი. ეს უბრალოდ შეუძლებელიცაა, რადგან ლგბტ ჯგუფის წარმომადგენლები ყველგან აბსოლუტურ უმცირესობას შეადგენენ. იგივე ეხება პოლიტიკურ

მითები ჰომოსექსუალობის შესახებ

ჯგუფებსაც. „ცისფერი მაფიის“ არსებობის შთაბეჭდილება ზოგჯერ შეიძლება შეიქმნას სფეროებში, სადაც გარკვეული პირობების გამო, გეების და ლესბოსელების პროცენტი საშუალოზე მაღალია, მაგალითად: შოუ-ბიზნესში, ხელოვნების სფეროში და ა.შ. იმით შეიძლება აიხსნას, რომ ამ სფეროში მოღვაწე ადამიანები უფრო ტოლერანტულები, ჰომოსექსუალები კი, შესაბამისად, უფრო გახსნილები არიან.

მითი: სექსუალური ექსპერიმენტები საშიში მოვლენაა. თუ თქვენ ერთხელ მაინც გექნებათ ჰომოსექსუალური კონტაქტი (თუნდაც თქვენი ნების წინააღმდეგ), თქვენი სექსუალური ორიენტაცია შეიცვლება.

ეთნოგრაფიაში არსებობს რიტუალური ჰომოსექსუალობის უამრავი მაგალითი, როცა ჰომოსექსუალური გამოცდილება ზრდასრულობის ასაკში შესვლისათვის საჭირო ინიციაციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. მიუხედავად ამისა, ზრდასრულ მამაკაცთა უმრავლესობა კონკრეტულ საზოგადოებებში ჰეტეროსექსუალურია. მსგავს ფაქტებს, შეიძლება, შეხვდეთ სხვადასხვა რაინდული ორდენებისა და სამონასტრო ცხოვრების აღწერებშიც. არსებობს ისეთი ჩაკეტილი, ჰომოგენური სივრცეც (სასჯელაღსრულებითი დაწესებულებები, ჯარი), სადაც ძალადობით განხორციელებულ ჰომოსექსუალურ აქტი ძალაუფლების დემონსტრირების ფორმაა და არანაირი კავშირი არა აქვს სექსუალურ ორიენტაციასთან.

ყველა აქ ჩამოთვლილ მითს მეტ-ნაკლებად ერთი საფუძველი აქვს, კერძოდ, მცდარი წარმოდგენები იმ ფაქტორებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ სექსუალური ორიენტაციის ჩამოყალიბებაზე. ამიტომ გადავწყვიტეთ, სტატიაში მოგვეყვანა ბელის, ვაინბერგისა და ჰამერსმიტის ვრცელი გამოკვლევის შედეგები (1).

ცალსახა პასუხი კითხვაზე, თუ როგორ და რის საფუძველზე ყალიბდება სექსუალური ორიენტაცია, მეცნიერებას ჯერჯერობით არა აქვს. არსებობს მრავალი თეორია, თუმცა, საბოლოო და ამომწურავ პასუხს არც ერთი იძლევა. ბელი, ვაინბერგი და ჰამერსმიტი პრობლემას ახალ, მეთოდოლოგიურად უფრო მაღალ დონეზე მიუდგნენ. ბელმა და მისმა კოლეგებმა სცადეს, შეემოწმებინათ სხვადასხვა თეორიები ჰომოსექსუალობის წარმოშობის შესახებ.

ჩატარებულმა კვლევებმა მათ შემდეგი დასკვნების გამოტანის საშუალება მისცეს:

1) იმის ალბათობა, რომ ჰომოსექსუალობის მიზეზი შეიძლება იყოს არასწორი ურთიერთობები ოჯახში (ავტორიტარული დედა და უნებისყოფო მამა), ძალიან მცირეა;
2) თეორია იმის შესახებ, რომ ქალური ჰომოსექსუალობა ჩნდება მაშინ, როცა გოგო როლურ მოდელად ირჩევს მამას, არ დასტურდება;
3) სტერეოტიპული წარმოდგენა, რომ ჰომოსექსუალობის მიზეზი ხშირად საკუთარი სქესის უფროსის მიერ ბავშვის გარყვნაა, მცდარია;
4) სექსუალური უპირატესობები მოზარდობის ასაკში მყარად ყალიბდება; ზრდასრული ადამიანების სექსუალურ ორიენტაციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები იშვიათად ხდება;
5) ბავშობაში ან მოზარდობის ასაკში, ჰომოსექსუალები ჰეტეროსექსუალ თანატოლებზე იშვიათად არ შედიან ჰეტეროსექსუალურ კონტაქტში, თუმცა ამ პროცესით ან ნაკლებად, ან საერთოდ არ კმაყოფილდებიან;
6) თამაშის პროცესში ბავშვების ქცევის შეუსაბამობა მათ სქესთან (მაგალითად თუ ბიჭს უყვარს თოჯინებით თამაში) არის მნიშვნელოვანი (მაგრამ არა აბსოლუტური) მაჩვენებელი მომავალში ჰომოსექსუალობის განვითარებისა.

იმის გამო, რომ კვლევის ავტორებმა ვერ შეძლეს, დაემტკიცებინათ ვერც ერთი შემოწმებული ფსიქოლოგიური თეორია, ივარაუდეს, რომ ჰომოსექსუალობის ფენომენს ბიოლოგიური ფაქტორები განაპირობებს. უნდა ითქვას, რომ ეს დასკვნაც მხოლოდ აბსტრაქტულ ხასიათს ატარებს და თეზისი ჰომოსექსუალობის ბიოლოგიური წარმოშობის შესახებ დეტალურ შემოწმებას მოითხოვს.

ეკა აღდგომელაშვილი

(1) **Bell, A.P., Weinberg, M.S., and Hammersmith, S.K. Sexual Preference: Its Development in Men and Women.** Bloomington: Indiana University Press, 1981.

ფილმები, სადაც უყვართ და იბრძვიან იმისთვის, რომ უყვარდეთ



90-იანი წლების დასაწყისი კინემატოგრაფში აშკარა ცვლილებებისა და ახალი ტენდენციების შემოჭრით გამოირჩეოდა. ერთმანეთის მიყოლებით – 1992წ. და 1993წ. ჯერ ე.წ. ევროპული ოსკარით, სეზარით დაჯილდოვდა ფრანგი რეჟისორის სირილ კოლარის „ველური ღამეები“, შემდეგ კი ამერიკული ოსკარით აღინიშნა ჯონათან დემის „ფილადელფია“.

ამ ორ სრულიად განსხვავებული სტილის, ესთეტიკის, კინემატოგრაფიული ტრადიციების მატარებელ ფილმს მანამდე თითქმის ტაბუირებული თემები – შიდსი და ჰომოსექსუალობა – აერთიანებდა.

XX ს.-ის მიწურულს აღმოჩენილი და განსაკუთრებული ინტენსივობით 80-იანი წლებიდან გამოვლენილი დაავადება, რომლის წარმოშობისა და გავრცელების მექანიზმზე მედიცინაში შეხედულებები მუდმივად იცვლებოდა, ხშირად პირდაპირ ასოცირდებოდა ჰომოსექსუალობასთან. „ცისფერების დაავადება“ – ასედაც იხსენიებდნენ შიდსს იმ მოსაზრებით, რომ ჰომოსექსუალურ ურთიერთობაში მყოფი ადამიანები ვირუსის შეძენის მაღალი რისკის ჯგუფს მიეკუთვნებიან. მსგავსი დაწყვილება ისედაც მძლავრ ჰომოფობიას კიდევ უფრო ამძაფრებდა.

პირველ რიგში სწორედ ამიტომაც გამოარჩია კინოკრიტიკამ სირილ კოლარის „ველური ღამეები“, სადაც დასაფასებელი არა იმდენად ტაბუირებული თემის გახსნა იყო, რამდენადაც „შიგნიდან წამოსული პოლიტკორექტული ხედვა“. ახალგაზრდა რეჟისორი, რომლის ნიჭზე ჯერ კიდევ მორის პიალასთან ასისტენტად მუშაობისას ალაპარაკდნენ, თავად იყო შიდსით ავად და ფილმი ერთგვარ „ავტორეკვიემად“, ცხოვრებასთან სევდიან და ამავე დროს სიყვარულით სავსე გამოთხოვებად აღიქმებოდა. მისი პირველი ავტობიოგრაფიული ნოველა „სიყვარულმისჯილი“ 1987წ. გამოვიდა და დიდი ხმაურიც გამოიწვია, რადგან ავტორი საკმაოდ თამამად, დაუფარავად, ვიქტიმიზაციისა და თვითგვემის გარეშე ლაპარაკობდა საკუთარ ვნებებსა და ავადმყოფობაზე. ორი წლის შემდეგ კოლარი უკვე „ველურ ღამეებს“ გამოაქვეყნებს, რომლის ეკრანიზაციას ცოტა მოგვიანებით თავადვე გადაიღებს. სირილ კოლარი „სეზარის“ დაჯილდოების ცერემონიამდე სამი დღით ადრე 35 წლის ასაკში გარდაიცვალა, მაგრამ ამ ფილმით არნახული წარმატების მოპოვება მოასწრო – ის 90-იანი წლების საკულტო ფიგურადაც კი იქცა.

„არჩევანი სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის“, „ცხოვრების უკომპრომისო ხედვა“, „სევდიანი და ტკივილიანი სილამაზე“, „ღრმა და მომაჯადოებელი ფილმი“... – ეპითეტებს არ იშურებდნენ „ველური ღამეების“ მისამართით. ბისექსუალი ჟანის (მას თავად კოლარი ასრულებს) ცხოვრება ბობოქარი, ჰედონისტური და იმავდროულად ტრაგიზმის განცდითაა სავსე. ამაში უდაოდ ვლინდება ფრანგული კინოს ტრადიციებიც, რომელშიც ჰედონიზმის ინტონაციები ყოველთვის გამოსჭვიოდა. ცხოვრება, რომლისგანაც ტკივილსაც ხშირად იღებ, მაინც მშვენიერია და სწორედ მისადმი მიძღვნილ ჰიმნად აღიქმებოდა ფილმი, რომელსაც მთლიანად ფონად მიჰყვება სირილ კოლარისავე სიმღერები – საოცრად მელოდიური და სევდიანი, თუმცა ამავე დროს ჟინიანი და შეუპოვარი.

ფილმის სიუჟეტში თითქოს ყველაფერია იმისთვის, რომ ის პირქუში და აპათიური გამოსულიყო. მაგრამ სიკვდილის პირას მყოფი პერსონაჟიც და რეჟისორიც შავთეთრ ფერებში სრულიადაც არ წარმოიდგენენ რეალობას. მით უმეტეს, ისინი არ არიან მორალისტები, თუმცა ფილმის ნახვის შემდეგ ემოციურად დატვირთული, ბევრ რაღაცაზე უფრო სერიოზულად ფიქრდები. ერთ-ერთ ინტერვიუში რეჟისორმა მკაცრად შეაფასა საკუთარი თავი: „დაუცველი სექსი, რომელიც ჩემი დაუდევარი ხასიათის დამსახურებაა, მარლთმსაჯულებამ თამამად შეიძლება ნამდვილ კრიმინალად შეაფასოს. ადამიანებმა უნდა ისწავლონ სიყვარული, თავისი, სხვისი და მთელი სამყაროს დაფასება. მაგრამ ნათელს რომ მიაღწიო, თავად უნდა გაიარო წყვდიადში.“

ფილმები, სადაც უყვართ და იბრძვიან იმისთვის, რომ უყვარდეთ

ნამდვილ ჯოჯოხეთს გაიცლის ენდიც (ტომ ჰენქსი) ფილმში „ფილადელფია“, თუმცა არა იმდენად დასუსტებული ორგანიზმისგან მიღებული ტკივილის გამო, რამდენადაც ადამიანებისგან წამოსული უნდობლობით, საზოგადოების მიერ მისი მარგინალიზაციის მცდელობით. ეჭვი, რომ ენდი შიდსით არის დაავადებული, ხდება მისი სამსახურიდან დათხოვნის მიზეზი. ერთ-ერთი სოლიდური ფირმის წარმატებულ, პერსპექტიულ და ყველასთვის საყვარელ ადვოკატს უცრად სრულიად სხვა თვისებებს მიაწერენ: რეალური მიზეზის დასამალად მას არაკომპეტენტურობაში ადანაშაულებენ. კიდევ უფრო მტკივნეულია იმის შეგნება, რომ სამსახურიდან გაშვების ვირუსზე უფრო ძლიერი ფაქტორი მისი ჰომოსექსუალობაა. ენდის ადვოკატიც კი (დენზელ ვოშინგტონი), რომელიც ვალდებულია დაიცვას ნებისმიერი ადამიანის უფლებები – თავდაპირველად ჰომოფობური განწყობისგან თავისუფალი არ არის. „ბავშვობიდან ისე გზრდიან, რომ ალტერნატიულ სექსზე არ გესაუბრებიან. გეუბნებიან, რომ ჰომოსექსუალები ცოტა უცნაურები არიან, ისე იცვამენ, როგორც დედები, ეშინიათ ჩხუბის და ერთადერთი რაც უნდათ, საცვალში შემოგიძვრნენ, ამიტომ უნდა უფრთხილდე. აქედან ყალიბდება საბოლოოდ თქვენზე წარმოდგენა“ – გულწრფელად აღიარებს ის ენდისთან საუბარში.

შემთხვევითი არ არის, რომ ფილმის მოქმედება ფილადელფიაში მიმდინარეობს – ადამიანის უფლებათა დეკლარაციის სამშობლოში. „რაღაც არ მახსოვს, რომ იქ ეწეროს: ყველა ჰეტეროსექსუალ ადამიანს აქვს თანაბარი უფლებებიო“ – ამაყად შეახსენებს ადვოკატი უკვე სასამართლოში დამსწრე საზოგადოებას. თუმცა ფილადელფიაშიც დეკლარაცია ხშირად მხოლოდ დეკლარაციად რჩება, რადგან საზოგადოებაში ჯერ კიდევ ძლიერია „სხვანაირი“ ადამიანისადმი შიში და აგრესია. ადამიანის უფლებათა დეკლარაციის შექმნის ადგილასაც ადამიანის უფლებები ხშირად ფარისევლური ღიმილით ირღვევა. ფილმში არაჩვეულებრივი სიზუსტით არის გადმოცემული, როგორ იცვლება ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება, როგორც კი შეიტყობენ რაიმეს „ნორმიდან გადახვევის“ შესახებ: მხურვალე შეხვედრა უხერხული პაუზითა და ხელის მკვეთრი გაწევით მთავრდება, ბიბლიოთეკარი, რომელიც გულმოდგინედ მოძებნილ კოდექსებს ყალბი ღიმილით გიწვდით, იქვე დაჟინებით ითხოვს თქვენს ცალკე, იზოლირებულ კაბინეტში გაყვანას... თუმცა, სწორედ აქ – ადამიანის უფლებათა დეკლარაციის სამშობლოში, შეუძლებელია, საბოლოოდ სამართალმა არ იზეიმოს და ენდის მიერ აღძრული სასამართლო პროცესი მისი გამარჯვებით მთავრდება.

„ფილაფელფიის“ წარმატება ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რამდენადაც ერთის მხრივ, ის მასობრივ მაყურებელზე გათვლილ ტიპიურ ჰოლივუდურ ფილმს წარმოადგენდა თავისი მაჟორული ფინალითა (მიუხედავად მთავარი გმირის სიკვდილისა) და სამართლიანობის აღდგენის ამერიკული მითით, ძველი თუ ახალი სტერეოტიპებით (უკომპრომისო ადვოკატი და ჰომოსექსუალზე მანამდე დანერგილი ჰომოფობური წარმოდგენის საპირისპიროდ – დახვეწილი გემოვნების, რომელიც აუცილებლად უსმენს კლასიკურ მუსიკას, აღმერთებს მარია კალასს და ა.შ.), მეორეს მხრივ, კი ახალ ტენდენციებს ავლენდა სწორედ ჰოლივუდში, სადაც თავის დროზე (1931წ.) ჰეისის კოდექსით აიკრძალა ჰომოსექსუალობაზე ოდნავი მინიშნებაც კი. შიდსის თემა რეაბილიტაციის ერთ-ერთი მძლავრი იმპულსი გახდა. 90-იანი წლებიდან ისინი არაერთხელ წარმოჩნდება ეკრანზე, წარმატებული თუ წარუმატებელი მხატვრული განზოგადებით, ახალი სტერეოტიპების ჩამოყალიბებითა თუ არაორდინარული რაკურსით; პედრო ალმოდოვარი მისთვის დამახასიათებელ პროვოკაციულ ხუმრობასაც კი „გაბედავს“ ფილმში „ყველაფერი დედაჩემის შესახებ“, სადაც ტრანსექსუალი მამისგან მემკვიდრეობით მიღებული ვირუსისგან სასწაულებრივად განიკურნება პატარა ესტებანი. თუმცა ხუმრობაში პროვოკაციაზე მეტად მომავალი ადამიანის იმედი უფრო ჩანს, რომელიც ქსენოფობიისგან თავისუფალ საზოგადოებაში იბადება და რომლის ჩასახვისთვის „ნორმირებული სქესიც“ არ არის აუცილებელი... ამ იმედამდე კი იყო ფილმები – „ველური ღამეები“ და „ფილადელფია“, რომლებიც „გვასწავლიდა სიყვარულს, საკუთარ, სხვის და მთელი სამყაროს დაფასებას“.

თეო ხატიაშვილი

ჩემთვის ღახოსილი ხარები

ახლა მივდივარ-მეთქი და ყურმილი დავუკიდე. საშინელი იდიოტია. სულ მთლად გალოთდა, გაჭაღარავებული თმა სასაცილოდ გასცვივდა. ორი დღის წინ დამირეკა და მითხრა, ინფექციურში წადი და შიდსზე ანალიზი აიღეო. ძვირი არ არის, თუ ფული არა გაქვს, ჩემთან შემოიარე, მე მოგცემო.

დელისიდან ფეხით ჩავედი. საზიზღრად კარგი ამინდი იყო. სულ ფეხებზე ეკიდა ყველას, მე სად მივდიოდი და რატომ. ვიცოდი, რომ ვენიდან ამიღებდნენ და ყველაზე მეტად ეს მაშინებდა. ვენაში უბრალოდ კი არ გამიკეთებენ ნემსს – დიდხანს მწოვენ სისხლს. ჯანდაბა! ხომ არ ავჯობებს, სახლში გავბრუნდე? ტვინს გამიბურღავს, გადამყოლებს, ანალიზი რატომ არ გაიკეთეო.

ცხელა. თუმცა, უკვე სექტემბერია. ფეხები საშინლად გამიოფლიანდა. ქუჩაში ისეთი მოძრაობაა, გადასვლა შეუძლებელია. მიწისქვეშაში ჩავდივარ და უცებ ცხირწინ მიდგას. ჩემზე ბევრად უფროსი იქნება, 40 წლამდე. მხოლოდ გამიღიმა და მეტი არაფერი. ხელები ჯიბეებში ეწყო.

ინფექციურ საავადმყოფომდე მივაღწიე. ეზოში ფიჭვები ყვავიან. ეს სეზონი სურამში ან ბორჯომში ძალიან კარგი იქნებოდა. ფილტვებისთვის სასარგებლოა ფიჭვების ყვავილობა. ადრე ძალიან ვცდილობდი, ფიჭვის ყვავილები მეპოვნა. ჩემი აზრით, რომელიმე უდღეურ მინდვრის ყვავილს უნდა მგვანებოდა. აუცილებლად თეთრი უნდა ყოფილიყო და არც ისე დიდი. სანამ ფიჭვზე არ აძვრებოდი, ვერ დაინახავდი, წიწვებში იქნებოდა ჩამალული. ”შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრი” უნდა მოვძებნო. ღმერთმა იცის, სად ჯანდაბაშია. ინფექციურის ეზოში უამრავი შენობა დგას, მიდი და ეძებე. ჯერ შოკოლადს ვიყიდი. გამაფრთხილა, ვენიდან სისხლს რომ აგიღებენ, აუცილებლად შოკოლადი უნდა შეჭამო, თორემ თავბრუ დაგეხვევა და შეიძლება გული წაგივიდესო. თეთრ ჯიხურში ვიყიდი შოკოლადს. ”ჰემატოგენი” არ ექნებათ, ბავშვობაში მიყვარდა. ერთხელ ეკამ, ჩემმა კლასელმა მითხრა, ხარის სისხლისგან აკეთებენო. წარმოვიდგინე, როგორ იცლება სისხლისგან ხარი, დაახლოებით როგორც კორიდაზე; ვიღაც თეთრხალათიანები მორბიან და ვედროებს უხვედრებენ მოწანწკარე სისხლს. არცერთი წვეთი არ უნდა დაიკარგოს, თორემ ჰემატოგენი გემრიელი არ გამოვა. გული მერევა. კიდევ კარგი, ჩვეულებრივ შოკოლადს ხარის სისხლისგან არ აკეთებენ.

– შოკოლადი რა ღირს?

– რომელი, შვილო? – ეჭვის თვალით მიყურებს, ეტყობა, ხვდება, რისთვის მინდა და ვეცოდები. ხედავს, როგორ ამიწევენ პერანგის სახელოს, სპირტიანი ბამბით დამიზელენ მკლავს და შპრიცს ნელა შემიყვანენ ვენაში. სისხლი წითელი იქნება, უფრო მოშავო.

– სულ ერთია.

– მაინც? – ახლა დამცინავად მოელრიცა ტუჩები. რა სასტიკია, რატომ არ მეხმარება? არ ვეცოდები? მთელი დღე ამ ჯიხურში დგას და ვაჭრობს. სახლში ალბათ გვიან ბრუნდება, ქმარიც ეყოლება და ბავშვებიც. მე არ ვეცოდები?

– კაი, აღარ მინდა საერთოდ, – სწრაფი ნაბიჯით ვშორდები და საავადმყოფოს ეზოში შევდივარ.

როგორ გამიკვირდა, ლექციაზე რომ შემოვიდა. ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო და გამოაცხადა:

– ლექციებზე მოვწევ ხოლმე, დროდადრო ფანჯარა გამოვაღოთ გასანიავებლად. წინააღმდეგი ხომ არ არის ვინმე? – სიგარეტის ღერი თითებით დასრისა, პირში ჩაიდო და მოუკიდა, – მე მეოცე საუკუნის ამერიკული ლიტერატურის კურსს წაგიკითხავთ, წლის ბოლოს გექნებათ გამოცდა. ხვალ სავალდებულო წასაკითხი წიგნების სიას ამოგიტანთ, კათედრაზე დამრჩა. ვისაც გამოცდაზე გასვლა არ უნდა, ყველა წიგნი უნდა ჰქონდეს წაკითხული და ამას გარდა, ორივე სემესტრში თითო მწერალი უნდა ამოირჩიოს. მოკლედ, სემესტრის ბოლოს ნაშრომებს ჩავიბარებ. თუ ჩემი დახმარება დაგჭირდებათ, აგერა ვარ, არსად არ გავრბივარ და გამომიყენეთ.

იქნებ ამ ქალებს ვკითხო? წარმოვიდგინე, რომ მივდივარ და სრულიად ჩვეულებრივად ვეკითხები:

– უკაცრავად, ქალბატონო, ხომ ვერ მეტყვით, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენ-

ჩემთვის ღახოსილი ხარები

ტრი სად არის? – გამოშტერდებიან, ერთერთი ალბათ ლოყაზე შემოირტყამს ხელს და შეჰკივლებს ბებიაჩემივით: "უიმე, შვილო!" რამდენი ფიჭვია ეზოში. პავლოვიდან შემოსულ ბინძურ ჰაერს მაინც ვერ აკავებს. აქ ფიჭვებს რა ააყვავებს. მარტო თეთრი ხალათები ყვავიან. თვალებს თუ ბოლომდე არ დახუჭავ, თეთრხალათიანები გიგანტურ ყვავილებს დაემსგავსებიან. ფიჭვის ყვავილები აუცილებლად პატარა და თითქმის უჩინარი უნდა იყოს. სუნიც თავისებური უნდა ჰქონდეს – როგორიც ფიჭვის კევას აქვს, მომწარო, მაგრამ სასიამოვნო. ერთ-ერთ ძველ შენობას მივუახლოვდი. აივანიც აქვს. რა საჭიროა საავადმყოფოში აივანი? წარმოვიდგინე, მომაკვდავი როგორ ეფიცხება მზეს, მერე საშინელი ხველა აუტყდება და ვირუსებსა და ბაქტერიებს დაფანტავს! თუმცა, იქვე ხომ ფიჭვები დგას, წიწვებზე შერჩება ყველაფერი. ნახველი და ლორწო პატარა ნაფლეთებად დაეფინება წიწვებს, მზეზე აბრჭყვიალდება და მაშინ ხეზე ამრომაც არ დაგჭირდება, ქვემოდანაც დაინახავ მოციმციმე ყვავილებს. პავლოვზე პიკის საათია, ფიჭვები გამონაბოლქვის ნისლში იხრჩობიან.

– ჰემინგუეი ორი რომანის შემდეგ მოკვდა – "ფიესტა" და "მშვიდობით იარაღო". თამამად შეგიძლიათ, სხვა რომანები არც წაიკითხოთ, სულ მეორდება და ნელ-ნელა კვდება, რომანიდან რომანში. "ფიესტას" ფინალში საკუთარ თავს განაჩენი გამოუტანა, ციტატა ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ დაახლოებით ასე ჟღერს: – არადა, ხომ შეიძლებოდა, ყველაფერი სხვანაირად, უკეთესად ყოფილიყო. მართლაც ასე მოხდა. მთელი ცხოვრება ებრძოდა საკუთარ ამბიციებს და ბოლოს დამარცხდა. ალბათ, ძალიან ღრმა და ძლიერი კომპლექსები უშლიდა ხელს, სულ ხაზს უსვამდა, რომ "კვერცხებიანი", ძლიერი კაცი იყო. ნამდვილი მაჩო. ხელთათმანებივით იცვლიდა ცოლებსა და საყვარლებს და მწერლობაშიც იმავე გზით მიდიოდა. ცდილობდა, საკუთარ თავს გაქცეოდა, მაგრამ ერთი და იმავეს ტირაჟირების გარდა ვერაფერი მოახერხა. თქვენს სავალდებულო პროგრამაში პირველი ორი რომანი შევიტანე, დანარჩენს, თუ სურვილი გექნებათ, თვითონ წაიკითხავთ, – რგოლებად ამოუშვა ბოლი და ჩაიცინა. ალბათ, ჰგონია, რომ ვერაფერს მივხვდი. ბერჯესის "ჰემინგუეის ცხოვრებიდან" ამოკრეფილი ფრაზებით შეაკოწიწა ლექცია. სასაცილოა. მეჩვენება, თუ სულ მე მიყურებს?

ახლადგარემონტებულ კორპუსთან ორი ექიმი დგას. მომწვანო ფერის ხალათები აცვიათ. ალბათ ქირურრგები არიან, ხელებზე ეტყობათ. ძალიან ცხელი წყლით რომ დაიბან ან რეზინის ხელთათმანებს რომ მოიხსნი, ისეთი ფერის ხელები აქვთ. ამათთან მივალ.
– უკაცრავად, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრი სად არის, ხომ ვერ მეტყვით?
ამ შენობას მოუარე და მარჯვნივ ეგრევე დაინახავ.
– გმადლობთ!
– არაფერს, – დაცინვა მომესმა ხმაში. თითქოს ხედავდნენ, როგორ ვიწექი ჩემს ლექტორთან და თვალსა და ხელსშუა როგორ გადამედო შიდსი. თითქოს თვალებით მეუბნებოდნენ, პრეზერვატივი არ არსებობს შენთვის, ბიძიკო? იარე ახლა და იკეთე ანალიზები! ეგ თუ გიშველისო. სიგარეტსაც განსაკუთრებულად ეწევიან, თითქოს ცდილობენ, თითებით ზედმეტად არ შეეხონ. როგორც მუნდშტუკიანი ქალები 30-იანი წლების ფილმებში. ახალგაზრდა ქირურგები ალბათ, სულ რაღაც ნახევარი საათის წინ ვიღაცის მუცელში იქექებოდნენ, ახლა კი თავგადადებული ესთეტებივით ფაქიზად ეწევიან სიგარეტს. შიდსის ცენტრს, როგორც იქნა, მივაგენი. ერთიბეწო აბრა აქვთ შესასვლელთან მიკრული. თითქოს იმალებიან, არ უნდათ, რომ ბევრმა დაინახოს, ბევრი მოვიდეს, დატოვოს თავისი სისხლი და მერე რამდენიმე წელიწადში მოკვდეს. პირველი სართული ცარიელია. ავდივარ მეორეზე.

პირველი სემესტრის ბოლოა. ამერიკული ლიტერატურის ჩათვლაზე მივდივარ, ჯეიმს ბოლდუინის „ჯოვანის ოთახი“ ავირჩიე თემად. ცოტა არ იყოს, გაუკვირდა. ბევრი ვილაპარაკე, ლიტერატურული ღირებულება ნაკლები აქვს, მაგრამ როგორც სოციალური მოვლენა ძალიან საინტერესოა-მეთქი. სიგარეტი მაგიდაზე დაეფერფლა. ნიჭიერი ბიჭი ხარ. მოდი, ლექციების მერე შევხვდეთ

ME

ჩემთვის ღახოსილი ხარები

და სამომავლო გეგმებზე ვილაპარაკოთო. ვიცოდი, რაც მინდოდა. უნდა მეჩვენებინა ამ კაცისთვის, რომ მხოლოდ თვითონ არ ბრძანდებოდა ჭკუის კოლოფი და წიგნები მხოლოდ თვითონ არ ჰქონდა წაკითხული. სიგარეტისგან თითები მთლად გაყვითლებოდა. მიხვდა, რომ ვაბამდი. მე-4 ლექციის შემდეგ შევხვდეთო.

მოსაცდელში დავჯექი. ანკეტა ავიღე.

ნამდვილი ლიტერატურა იცი რა არის? ბიტნიკები თუ გაგიგია? მაგალითად გინზბერგი?

ჩემი რიგი მოვა მალე. ანკეტა შევავსე. ფანჯრიდან ერთი ფიჭვი მოჩანს.

ბოლდუინი რატომ აირჩიე? ამით ჩემთვის რისი თქმა გინდოდა? ხომ ხვდები, რასაც ვგულისხმობ?

ყველა საავადმყოფოში ასეა. დერეფნები ყველგან ჩაბნელებულია, კედლები კი ნახევრამდე ცისფერი ან მომწვანო საღებავითაა შეთითხნილი. ცივა.

რამდენი წლის ხარ? 18? მე 42-ის გავხდი წელს. დიდი სხვაობაა. ხომ არ გაშინებს? კაი, ხვალ საღამოს ჩემთან გამოიარე სახლში, სამომავლოდ შენთვის რაიმე უფრო სერიოზული უნდა მოვიფიქროთ.

ჩემი რიგია. ყველაფერი მექანიკურად ხდება. ტელევიზორს ხმა ჩავუწიე. ეს მე არა ვარ. მორჩილად ვჯდები მაგიდასთან, მორჩილად ვიწევ მაღლა პერანგის სახელოს და თვალს არ ვაშორებ შპრიცს. სისხლით ნელა ივსება, ნელა და ბოლომდე. გავალ თუ არა, შოკოლადს ვიყიდი. ხარის სისხლიანი თუ ვიშოვე, ხომ მთლად უკეთესი. ხარის სისხლს შევჭამ.

მხარზე დამადო ხელი: მართლა არვინ გყოლია? ვერ დავიჯერებო. სახეზე მეფერება. ნუ გეშინია, არ გეტკინება, ცოტა მოეშვი, ასეთი დაძაბული ნუ ხარო. დიდ ყავისფერ ტახტზე დავწექით. რაღაც სისულელეებს მეჩურჩულებოდა. წარმოვიდგინე, ჩემს ჯგუფელებს რომ დავენახეთ ასეთ მდგომარეობაში, რა დაემართებოდათ და გამეცინა. რა გაცინებს? შენთვის ბებერი ვარ და დამცინიო. გაბრაზებული გადავჯდა სავარძელში.

ანალიზის პასუხები რამდენ დღეში იქნება, არ ვიცი. დამავიწყდა, მეკითხა. არა უშავს, დავრეკავ და გავიგებ. ფიჭვებში გამოვედი ისევ. ბებერი ფიჭვებია, თითქმის გამხმარი. ერთ დღესაც სუყველას ერთიანად გაჩეხავენ და კარგიც იქნება. ავადმყოფი ხეები ვის რაში სჭირდება?

გვერდით მივუჯექი: – ოღონდ არ მატკინო, კარგი?

მეორე სემესტრის ბოლოს გამოცდა დამინიშნა. ისევ ისე ეწეოდა სიგარეტს და მწურავდა. ლამის ყველაფერი მკითხა, დიდხანს მაწვალა.
– მომეცით თქვენი ჩათვლის წიგნაკი, თუ შეიძლება, – ნაჩქარევად ჩავჯაბნა შიგ რაღაც და ცივად მომიგდო.
აუდიტორიიდან გავედი, წიგნაკი გავშალე – 5 (ფრ)... კიდევ ფურცლის პატარა ნაგლეჯი იდო შიგ: "ნუ მირეკავ, თავი დამანებე"

– ჰა, რა ქენი, აიღე ანალიზი?
–
– რატომ არ მპასუხობ?
– კი.
– როდის იქნება პასუხი? ხომ იცი, ჩემი ბრალი არ არის! არ ვიცოდი, ავად თუ ვიყავი. მეც ახლახან გავიგე. შენ პატარა აღარა ხარ და კარგად იცოდი, რაზეც მიდიოდი. გაგიმართლა, რომ მე შეგხვდი პირველი, სხვა უფრო ცუდად მოგექცეოდა. ანალიზის პასუხს რომ გაიგებ, დამირეკე.
ყურმილი დავუკიდე. იდიოტია. გალოთებული ჭაღარა იდიოტი. საშინლად სცვივა თმა. მალე მთლად გამელოტდება და მერე მოკვდება. მე ჯერ კიდევ მაქვს შანსი. გავალ და ხარის შოკოლადს ვიყიდი.

– აიღე ყურმილი! ვიცი, რომ სახლში ხარ! აიღე-მეთქი! სად დაიკარგე? რამდენი ხანი გავიდა, ანალიზის პასუხი არ მიგიღია? რატომ არ მირეკავ? გაბრაზებული ხარ? გეწყინა რამე? სპეციალურად არ გაგათავისუფლე გამოცდიდან, ეჭვი რომ არ

ჩემთვის ღახოსილი ხარები

აელოთ. რა გინდა, ვერ ვხვდები? შენი ბრალია, თვითონ ჩამაბი ამ თამაშში. ჩემს სტუდენტებთან ადრე არასოდეს არაფერი მქონია. შენ პირველი იყავი. თავს ნუ ისულელებ! ორივემ კარგად ვიცით, პირველ სემესტრში ბოლდუინი რატომაც აირჩიე. ახლა რაღა გინდა? რას მაბრალებ? უბრალოდ, მითხარი ანალიზის პასუხი და მორჩა. დამირეკე, გაიგე?!

მაღაზიაში შევედი.
– ჰემატოგენი გაქვთ?
– ხარის სისხლიანი შოკოლადი?
გამყიდველას ავხედე, ეკა იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ არ მენახა. კიდევ უფრო გასუქებულა. ეშმაკურად მიცინის და ელოდება, როდის დავეძგერები ჩასახუტებლად.
– აქ რა გინდა?
– ვმუშაობ. შენ რას შვები?
– მე ვსწავლობ. ძაან გამიხარდა შენი ნახვა.
– რა დამივიწყე, რა იყო? რა იშოვე ამისთანა? ერთი მაინც დაგერეკა!
– ეჰ, ეკა, მე მალე მოვკვდები, შიდსი მაქვს
– ვეუბნები უსერიოზულესი სახით. ერთი წამით იბნევა და ეგრევე ისტერიკულად ხარხარებს.
– ფუ, რა გამოყლეებული ხარ, რა შემაშინე!
– მართლა გეუბნები.
– გადიი! სკოლაშიც მასე ატრაკებდი ყოველთვის! – ეკა მსუქან მკლავებს მხვევს და მინდა თუ არ მინდა, მის სავსე მკერდს ვარ მიყრდნობილი. მე-11 კლასში ერთხელ სასწაული შეცდომა დაუშვა ციტატაში: ”მაქვს მკერდს მიდებული ქმარი, როგორც მინდა ”
– შენ რაღა გაცინებს?
ხომ ვერ ვეტყვი, რაზე გამეცინა, არ უყვარს, ამ ამბავს რომ ახსენებენ.
– ჩვენების ამბები იცი? სოფიკო გათხოვდა შარშან, ეგრევე ტყუპები გააჩინა. გოგა სკოლაში მუშაობს ფისკულტურის მასწავლებლად.
კიდევ ბევრი ილაპარაკა, მაგრამ გოგას მერე აღარ ვუსმენდი. ფიზკულტურის მასწვალებელი გამხდარა, ფეხბურთს რატომ დაანება ნეტა თავი? ეკას ზედმეტი მონდომებისგან სახე წამოუწითლდა.
– უი, მართლა, შენ რა გინდოდა? – ახსენდება, რომ გამყიდველია.
– ჰემატოგენი. შოკოლადია ასეთი.
– ვიცი. გაგვითავდა.
– აუ, სად ვეძებო ახლა?
– მოიცა, საწყობში ვნახავ.
ველოდები. რაღაცნაირი ჭყეტელა მაღაზიაა, ყველაფერი ბლომად ყრია დახლებზე. ნამდვილად ეკას ტერიტორიაა. ამასობაში გამოვიდა. ხელში შოკოლადი უჭირავს:
– გვქონია.
– რა ღირს?
– შენ ხო არ გაგიჟდი? გჩუქნი, კაცო! მიდი, კიდევ აიღე რამე.
– არა, არაფერი არ მინდა.
– აიღე-მეთქი! – უცებ თვალები ეშმაკურად აუციმციმდა, – მოდი, პრეზერვატივებს გაჩუქებ!
– მადლობა, მაგრამ უკვე არ მჭირდება! – ეკას გაოგნებულ სახეს ყურადღებას არ ვაქცევ, შოკოლადს ჯიბეში ვიდებ და მაღაზიიდან გავრბივარ.
– რა იყო, შეჩემა, არ გიდგება? – შორიდან მესმის ეკას ხმა.

– რატომ არ დამირეკე? ნუ სულელობ! ანალიზის პასუხი გაიგე?
– ჰო.
– მერე, არ უნდა დაგერეკა? ხმა ამოიღე! რა დაგემართა? მითხარი! გჭირს? ჰოო? ჩემი ბრალია. მაპატიე. არ ვიცოდი. ეს რომ მცოდნოდა... გინდა, ჩემთან გადმოდი და ერთად ვიცხოვროთ? მიპასუხე, გინდა? სხვა მე რა შემიძლია...
– ნუ მირეკავ, თავი დამანებე! – ჩათვლის წიგნაკში ჩადებული ფურცელი დავუბრუნე.

ანალიზის პასუხი ჯიბეში მიდევს, მაგრამ არაფერს არ ვეტყვი, რა მისი საქმეა? ადვილად გამოვძვერი, ბევრ ჰემატოგენს შევჭამ და ზოგ-ზოგიერთებისგან განსხვავებით კიდევ დიდხანს არ მოვკვდები. ხარის სისხლი სასარგებლოა

ზაზა მელიქიშვილი

INTRODUCTION

After introducing the main topics of HIV/AIDS and advocacy, that were chosen in connection to 1st and 10th of December, "me" traditionally offers the digest of the main happenings in Georgia and in the world. Important news that comes from Georgia is that Inclusive Foundation hosted the first international LGBT event, namely HIV/AIDS prevention workshop conducted by partner organizations. Media coverage of the magazine and organization's activities is also addressed in this section. As to the other happenings, section summarizes outcomes of the first year activities, plans for 2007 and touches upon international dimension of Foundation's work.

In world news section ILGA-Europe's 10th conference is covered. Norwegian address to the UN Human Rights Council and supporting NGO statement composes another part of the section. Granting consultative status to ILGA, Danish and German LGBT organizations by ECOSOC is addressed as well. In the last part entitled 'Europe Equals Equality', magazine informs readers on announcement of the year 2007 as European year for equal opportunities for all by EU and about resolution adopted by the European Youth Forum that targets homophobia.

KNOW YOUR RIGHTS

This time we decided to dedicate this section to the long processes of reporting on the status of LGBT in Georgia conducted by ILGA-Europe. We offer translation of the summary of all studies conducted for this purpose and that was sent to number of European human rights institutions.

HEALTH

AIDS this time! Our partner Tanadgoma that has an extensive knowledge and practice in prevention strategies gives basic facts on HIV/AIDS and informs on ways of transmission, symptoms, prevention measures and many other important aspects of this viral infection.

INTERVIEW:

In the article called "Equality in Georgian and in European way" European Parliament Member Sophie Int'Veld comments on statements by Public Defender of Georgia and two parliamentary committee Heads (Committees on Human Rights and Civil Integration and European Integration). Ms. Int Veld submits that Europe is very clear about equality and sexual orientation is as important ground for nondiscrimination as any other. She expresses her hope that Georgia will successfully continue democratization and that this process will not bypass LGBT issues.

REPORTAGE:

Two important reports describe ILGA-Europe's 10th annual conference in Sophia, where Inclusive Foundation was represented as a full member and HIV/AIDS international training in Gudauri, Georgia conducted within frames of PRECIS project (Prevention and Empowerment in CIS).

STUDY

Myths on homosexuality are still endemic for Georgian society. This study addresses most promulgated myths that are determining negative social attitudes and contribute to strengthening of the homophobia in public. It also highlights linkage between homophobia and other types of 'fear of other' bringing as an example the recent witch hunt against ethnic Georgians in Russia, by this illustrating the negative implications of any type of social phobia.

ART

This section gives a very rich coverage of HIV/AIDS topical intrusion into cinema. It tells the story how, infected himself, Cyril Collard completed the most audacious film on AIDS. "Savage Nights" saw a huge success yet finding its creator passed away three days before Cesar Award was given to it. Article also tells an Oscar winner story of "Philadelphia", perhaps the most popular movie commemorating victims of AIDS and homophobia.

"Me" magazine also offers the original piece by Georgian writer entitled "Bulls Slaughtered for Me" that is a story of the young Georgian student undergoing the horror of expecting blood test results after a worthless and devastating adventure. It is left up to readers' discretion to decide is he really worried about results or is this devastation emotional because of the feelings of him.

COVERS

At the end, announcement on the launching of Foundation's new website is placed. Main information resources and services accessible through the website are also annotated. The back cover of the issue gives equality index where degree of equality correlates with the well being of society in different parts of the world.

ეწვით ჩვენ ვებ-გვერდს

ახ

პუბლიკაციები

* ფონდის მიერ განხორციელებული კვლევების პუბლიკაციები;
* ჟურნალ "მეს" ელექტრონული ვერსიები

თემა

სტატიები ჰომოსექსუალობის, სექსუალური ორიენტაციის ჩამოყალიბების, გავრცელებული ლგბტ სიმბოლოების შესახებ.

ჩვენ შესახებ

* ორგანიზაციის მისია, მიზნები, საქმიანობები.
* ინფორმაცია მომსახურების შესახებ:
  - უფასო იურიდიული, სამედიცინო და ფსიქოლოგიური კონსულტაციები;
  - ადვოკატირება;
  - სადისკუსიო და კინოკლუბი;
  - არტ-ინიციატივების წახალისება;
  - საინფორმაციო და საგანმანათლებლო მომსახურება და სხვ.

თუკი ირღვევა თქვენი უფლებები

ან

გჭირდებათ

იურისტის, ექიმის, ფსიქოლოგის

დახმარება

შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ

და ისარგებლოთ

უფასო

იურიდიული, სამედიცინო, ფსიქოლოგიური კონსულტაციებით

პროგრამები

* ადვოკატირება;
* ჯანდაცვა;
* ჯგუფის კონსოლიდაცია;
* არტ ინიციატივები;
* მედია

ფონდი "ინკლუზივი" მზადაა ითანამშრომლოს ყველა დაინტერესებულ პირთან და ორგანიზაციასთან, ვინც მხარს უჭერს ლგბტ უფლებების დაცვას საქართველოში

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ, დაგვიკავშირდნენ შემდეგ მისამართზე:

info@inclusive-foundation.org

© ფონდი "ინკლუზივი"

www.inclusive-foundation.org

თანასწორობის ინდექსი



სრული თანასწორობა

დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის მაღალგანვითარებული ქვეყნები

ნაწილობრივი თანასწორობა

აღმოსავლეთ ევროპა, მსოფლიოს სხვა განვითარებული ქვეყნები

ლეგალურია, მაგრამ დისკრიმინირებული

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, მსოფლიოს სხვა განვითარებადი ქვეყნები

ისჯება თავისუფლების აღკვეთით

აფრიკის, აზიისა და მსოფლიოს სხვა განვითარებადი ქვეყნები

ისჯება სიკვდილით

აფრიკის ზოგიერთი ქვეყანა და ისლამისტური ქვეყნები